კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო

უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

სტუდენტი

რევაზ ოსაძე

2020 წლის ნოემბრის მთიანი ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ასპექტები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი - 2021

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მთიანი ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ასპექტების მიმოხილვას, სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემავალი ქვეყნების საგარეო მიმართულებების, შიდა უსაფრთხოების პრობლემათა განხილვას და ანალიზს. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, ისტორიული ასპექტებიდან გამომდინარე ძალთა ბალანსის რეგიონალური ასპექტების გაანალიზება. სამხრეთ კავკასიის რეგიონის პოლიტიკური მიმართულებებისა და მათი დინამიკის წარმოჩენა სხვადასხვა ფაქტორებისა და გარემობების გათვალისწინებით.

ხანგრძლივი კავკასიური მშვიდობა და ზოგადად ძალთა ბალანსი რეგიონში, ისტორიულად, ყოველთვის რამდენიმე უმთავრესი გეოპოლიტიკური მოთამაშის ინტერესებზე იყო დამოკიდებული. ბოლო ათწლეულებია, ეს მოთამაშეები არიან რუსეთი, თურქეთი, აშშ, ირანი და ევროკავშირი. დღეს მიმდინარე მოვლენებიც სწორედ ამ მოთამაშეთა რეგიონალური ინტერესების ძალთა ბალანსის ჭრილში უნდა განვიხილოთ.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და პოსტსაბჭოთა სივრცეში სუვერენული სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ, შესაბამისად მსოფლიო პოლიტიკური რუკის კორექტირებამ და გლობალურმა გეოსტრატეგიულმა ცვლილებებმა სამხრეთ კავკასია კვლავ აქცია რეგიონში მთავარ, ძლიერ მოთამაშეებს შორის გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთის ობიექტად.

სამხრეთ კავკასიაში არსებული სიტუაცია და სტაბილურობა აქტუალურია საერთაშორისო საზოგადოებაში, ვინაიდან არსებობს მთელი რიგი შემაფერხებელი პროცესები, რომელიც ხელს უშლის კონფლიქტების დარეგულირებას. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომით შევეცდები არსებული მდგომარეობის სრულფასოვნად წარმოჩენას და გაანალზებას.

Annotation

Geopolitical and geoeconomic aspects of the Nagorno-Karabakh military conflict in November 2020

The master's thesis presents an overview of the geopolitical and geo economic aspects of the Nagorno-Karabakh military conflict. Also discussed are the foreign directions of the countries in the South Caucasus region and the analysis of internal security problems. Also, the aim of the master's thesis is to analyze the regional aspects of the balance of power based on historical aspects. Presenting the political directions of the South Caucasus region and their dynamics taking into account various factors and circumstances.

It must be said that the lasting Caucasian peace and the general balance of power in the region have historically always depended on the interests of a few key geopolitical players. In recent years, these players are: Russia, Turkey, the US, Iran and the EU. The current events should be considered in the context of the balance of power of regional interests of these players.

The collapse of the Soviet Union and the establishment of sovereign states in the post-Soviet space, as well as the adjustment of the world political map and global geostrategic changes, again made the South Caucasus a major force in the region. And also as an object of crossing geopolitical interests between players.

The situation and stability in the South Caucasus is a very topical issue in the international community. Whereas there are a number of disruptive processes that prevent conflicts from being resolved. In the presented master thesis I will try to fully present and analyze the current situation.

Revaz Osadze

შესავალი

2020 წელს კავკასია მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა მთიანი ყარაბაღის ომის გამო. ამ სრულმასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებას, გარდა მსხვერპლისა, მოჰყვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები. ომში აზერბაიჯნმა დაამარცხა სომხეთი, რის შედეგად დაიბრუნა 1988-1994 წლის ომისგან დაკარგული ტერიტორიების დიდი ნაწილი, მათ შორის საკუთრივ მთიანი ყარაბაღის სამხრეთ ნაწილი ქალაქი შუშას ჩათვლით.

კონფლიქტის შეწყვეტაში მთავარი როლი შეასრულა რუსეთმა, რომელმაც ზავის შედეგებიდან გამომდინარე მიიღო სარგებელი საკუთარი სამშვიდობოების განთავსებისათვის, რაც მას საშუალებას მისცემს ორივე დაპირისპირებულ სახელმწიფოზე საკუთარი გავლენა უფრო გააძლიეროს. რუსეთის მიზანია შეინარჩუნოს საკუთარი გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე, რის გამოც მას სხვა რეგიონულ თუ გლობალურ ძალებთან უწევს კონკურენციის გაწევა. რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს დასავლური სამხედრო თუ ეკონომიკური ორგანიზაციების აღმოსავლეთით გაფართოება ნატო-სა და ევროკავშირის სახით. ამიტომ რუსეთისთვის მიუღებელია საკუთარი გავლენის სფეროდ აღქმული ტერიტორიიდან რომელიმე სახემწიფოს დასავლურ სტრუქტურებთან დაახლოება.

მეორის მხრივ თურქეთი აზერბაიჯანის წარმატების გზით მკვეთრად იმყარებს პოზიციას რეგიონში და აჩენს ახალ შესაძლებლობებს აზერბაიჯანთან ენერგეტიკული თანამშრომლობის კუთხით, ვინაიდან აზერბაიჯანული ენერგო მატარებლების როლი თურქეთის გართულებული ეკონომიკური დინამიკისათვის სულ უფრო მზარდი ხდება.[1]

თურქეთი უპირატესობას ანიჭებს ურთიერთობებს აზერბაიჯანთან. ეს აიხსნება, როგორც ორი ქვეყნის კულტურული და ენობრივი სიახლოვით, ისე

[1] ანთაძე გ., ,,ყარაბაღის ომის გეოპოლიტიკური შუქ-ჩრდილები“, 7 ნოე. 2020. გვ.1. https://www.geocase.ge/ka/publications/294/yarabaghis-omis-geopolitikuri-shuq-chrdilebi (ბოლო ნაცვა - 10.04.2021)

აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობით. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენისა და „ბაქო-თბილისი-ერზერუმის“ გაზსადენმა, ისევე, როგორც ,,ბაქო-თბილისი-ყარსის“ სარკინიგზო პროექტის რეალიზაციის დაწყებამ სამხრეთ კავკასიას შესძინა დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია თურქეთისათვის იქიდან გამომდინარე, რომ სამხრეთ კავკასია მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფანს წარმოადგენს, ადვილი გასაგებია რუსეთის და თურქეთის მეტოქეობა რეგიონში დომინანტობის მოსაპოვებლად.

თემის აქტუალობა

საუკუნეების მანძილზე სამხრეთ კავკასიის რეგიონი თავისი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე დიდი სახელმწიფოების ინტერესის სფეროს წარმოადგენდა და 21-ე საუკუნეშიც სულ უფრო იზრდება მისი როლი. სამხრეთ კავკასიის პოლიტილური სტაბილურობა არ არის დამოკიდებული მარტო რეგიონში შემავალ სამ სახელმწიფოზე, არამედ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ რეგიონაური მოთამაშეები: რუსეთის, თურქეთის სახით და გლობალურ დონეზე ევროკავშირი, ამერიკა, ირანი და ჩინეთი.

ისტორია აჩვენებს, რომ ლოკალური კონფლიქტების გავლენა მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებზე ძალზედ მაღალია. ისეთი კონფლიქტებიც კი, რომლებიც, ერთი შეხედვით, მხოლოდ პატარა ქვეყნებისთვისაა საფრთხის შემცველი, გლობალური საინფორმაციო გარემოსთვის რეალურად მნიშვნელოვან ცვლადს წარმოადგენს. ასეთი ლოკალური კონფლიქტის მაგალითია კავკასიის რეგიონში მდებარე მთიანი ყარაბაღი, რომელსაც ხშირად „გაყინული კონფლიქტის“ სახელით მოიხსენიებენ.

ნაშრომში განხილულია დიდი სახელმწიფოების როლი და გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონში პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო თვათსაზრისით. ასევე, გაანალიზებული ის ძირითადი რისკები და

საფრთხეები რაც უშლის აღნიშნულ რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის დამკვიდრებას.

კვლევა მნიშვნელოვანია თავისი არსიდან გამომდინარე, რადგან შეეხება როგორც გეოსტრატეგიულ ინტერესებს, ასევე ყველა იმ ალტერნატიულ გზას როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები და რა კონკრეტულ შედეგის მომტანი შეიძლება გახდეს კონკრეტული პროექტები თუ პოლიტიკური მოვლენები კავკასიის რეგიონში.

კვლევის მიზნები და ამოცანები

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სამხრეთ კავკასიის თანამდროვე მოოვლენებისა და მის მიმართ სხვადასხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეების სტრატეგიის შედარებითი ანალიზი. თემის ძირითად მიზანებს ნაშრომის ფარგელებში წარმოადგენს:

- რეგიონში მდებარე სამი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების განსაზღვრა.

- ძალთა ბალანსისა და უსაფრთხოების რეგიონალური ასპექტების მიმოხილვა რომლის მეშვეობითაც შესაძლოა მკითხველმა გააანალიზოს მოვლენების განვითარებათა შესაძლო სცენარები.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომშის მიზნებს წარმოადგენს:

- გავარკვევთ თუ როგორ იკვეთება რეგიონში არსებული ძალთა ბალანსის გადანაცვლება რუსეთის და თურქეთის სასარგებლოდ, რაც ევროკავშირისა და აშშ-ს როლის შემცირების ხარჯზე ხდება.

- გავაანალიზოთ თუ რა გეოპოლიტიკური, გეოკონომიკური თუ გეოსტრატეგიული რესურსები გააჩნია რუსეთს და თურქეთს სამხრეთ კავკასიაში და როგორ შეასუსტებს ეს რესურსები რეგიონში სხვა დაინტერესებული მოთამაშეების გავლენას.

საკვლევი კითხვები

- როგორ წარიმართა მთაინაი ყარაბაღის ომი და მისი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა?
- როგორ განვითარდა რუსეთ-თურქეთის ინტერესების თანხვედრა და თანამშრომლობა რეგიონში სამხედრო კონფლიქტის შემედგომ პერიოდში?
- რა გავლენას იქონია სამხედრო კონფლიქტმა რეგიონის გეოეკონომიკურ ტრანსფორმაციაზე უთოს მინსკის ჯგუფის როლი ყარაბაღის კონფლიქტში?
- რა ბერკეტები გააჩნია რუსეთს სამხრეთ კავკასიის რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად?

ჰიპოთეზა

სამხრეთ კავკასიის რეგიონისადი სხვადასხვა გლობალური „გეოპოლიტიკური მოთამაშეების“ ინტერესები აქტიურად იკვეთება. ხშირ შემთხვევაში გლობალური აქტორები და „მოთამაშეები“ იბრძვიან რეგიონში გავლენის გაზრდისთვის, რომელიც მათი ძირითადი მიზანია. ამ კუთხით შეგვიძლია გამოვყოთ რუსეთის ფედერაცია, თურქეთი, ევროკავშირი, ირანი და ამერიკის შეერთებული შტატები.

რუსეთს მისი ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური და იდეოლოგიური რესურსების ფლობის შედეგად მნიშვნელოვანი ბერკეტები გააჩნია სამხრეთ კავკასიის რეგიონზე გავლენის გასაზრდელად. თანამედროვე პერიოდში არსებული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ არსებობს გარკვეული წინაპირობა იმისა, რომ რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე კიდევ უფრო გაიზარდოს.

კვლევის საგანი და კვლევის ობიექტი:

აღნიშნული კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველია გამოყვანილი იყოს და დადგინდეს კვლევის საგანი და ობიექტი. ამიტომაც

კვლევის ჰიპოთეზის ფორმულირებისას გამოიკვეთა ის ტენდენცია, რომ ***კვლევის საგანია*** - კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ტრანსფორმაცია მთიანი ყარაბაღი ომის შემდეგ და ***კვლევის ობიექტია*** - რეგიონის ერთ-ერთი მთავარი ჰეგემონის რუსეთის ფედერაციის მიერ არასებული ბერკეტების გამოყენება რეგიონში საკუთარი ეროვნული ინტერესების მისაღწევად.

კვლევის დროს გამოყენებული მეთოდები

ნაშრომის დამუშავების დროს გამოყენებულია „პოლიტიკური რეალიზმის“ თეორია, რომლის ძირითადი სუბიექტი არის სახელმწიფო და სადაც განიხილება ისეთი ძირითადი ცნებები, როგორიც არის ქვეყნის ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება. ასევე გამოყენებულია „ძალთა ბალანსის“ თეორია, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან. კვლევაში გამოყენებულია „თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია“ - რომელიც მოიცავს საერთო საფრთხეების აღიარებას.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია ძირითადად ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს, რაც საშუალებას მოგვცემს ძირეულად შევისწავლოთ თემის ირგვლივ არსებული თეორიული ბაზა. არსებული მასალის განხილვამ და ანალიზმ ნაშრომის ხარისხს გაუმჯობესების საშუალება მოგვცა და შესაბამისად შედეგზე ორიენტირების მეტი შესაძლებლობა. თემის დამუშავებისას აგრეთვე გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი იარაღი - ლოგიკა, ასევე გამოყენებულია პოლიტიკის კვლევის ანალიზი.

კვლევისათვის გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან - კონტენტ ანალიზის და რიტორიკის ანალიზის მეთოდები, რომელიც გულისხმობს მხარეების მხრიდან მთავარი შეტყობინებების იდენტიფიცირებას.

ამან საშუალება მოგვცა უკეთ აგვეხსნა იმ დროისთვის მიმდინარე პროცესები და გამოგვეტანა დასკვნები.

კვლევის დროს გამოყენებული იქნა დისკურსის ანალიზის მეთოდი. განხილული იქნება ექსპერტებისა და ოფიციალური პირების, როგორიცაა: პრეზიდენტები, მინისტრები და ა.შ განცხადებები საკითხის ირგვლივ, სიახლეები, სტატიები, ასევე მკვლევართა ნააზრევები ამ საკითხთან დაკავშირებით, საჯარო დოკუმენტები, კონფლიქტებზე განხორციელებული მოლაპარაკებების პროცესში ჩართული პირების განცხადებები, გამოსვლები და ინტერვიუები.

კვლევაში ასევე გამოყენებული იქნა აღნიშნულ კონფლიქტთან დაკავშირებით უკვე არსებული სხვადასხვა კვლევები, რომელთა მიზანიცაა საზოგადოებრივი აზრების ჩვენება კონფლიქტთან და მის განვითარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის მიმართ.

თემის პრაქტიკული მნიშვნელობა

სამხრეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენების მკვლევარებს საშუალება ექნებათ, თავად გამოიყენონ ნაშრომი პრაქტიკული დანიშნულებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს აღნიშნული ნაშრომით საშუალება ეძლევათ გაეცნონ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ასპექტებს.

შესაძლებელია აღნიშნული მასალა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სემინარების და ლექციების ჩატარების დროს, რითაც ყველა დაინტერესებული ადამიანი უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებს ამ საკითხთან დაკავშირებით და საჭიროებისამებრ გამოიყენებს მას.

კვლევის შედეგების განხილვა

კვლევის შედეგად, შევეცადეთ შეძლებისდაგვარად აკადემიური ხასიათის ნაშრომი შეგვექმნა, სადაც განვიხილეთ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გეოპოლიტიკური ასპექტები და სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზი. კვლევაში ყურადღება გავამახვილეთ რეგიონის მნიშვნელობაზე ასევე ძალთა ბალანსის გადანაწილებაზე.

ნაშრომში გამოვიკვლიეთ და პასუხები გავეცით თემის უმთავრეს კითხვას, შეძლებს თუ არა და რა რესურსები გააჩნია რუსეთს იმისათვის, რომ კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი გეოპოლიტიკური პოზიციები სამხრეთ კავკასიის რეგიონში და სხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეების გავლენის შესუსტების მიზნით, რა ხერხებით და მეთოდებით აპირებს ის მიზნის განხორციელებას. როგორია რეგიონის ქვეყნების მისწრაფებები პირველობისკენ და უშლის თუ არა ეს ხელს სამხრეთ კავკასიის საერთო კეთილდღეობას და სტაბილურობას.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას ვიხელმძღვანელე ლიტერატურით, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია. კერძოდ, პოლიტოლოგთა, მკვლევართა შრომებმა კიდევ ერთხელ დამანახა, რა იყო თემაში დასმული საკითხის მთავარი მიზეზები და რამ გამოიწვია შედეგი, რომელზეც ვსაუბრობთ. ჩემთვის საინტერესო გამოდგა პირველწყაროებზე მუშაობა - ნაშრომის განსამტკიცებლად გამოვიყენე საარქივო დოკუმენტები. ვიხელმძღვანელე რიჩარდ ჰოვანისიანის წიგნის პირველი ნაწილით - „სომხეთის რესპუბლიკა“. ნაშრომისთვის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოდგა ინფორმაცია ამერიკელი იურისტის უოლტერ მარიონ ჩენდლერის როლზე ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კვლევაში გამოყენებულია ბექა კობახიძის არაერთი ნაშრომი - „კავკასია XIX-XX: ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საერთაშორისო პოლიტიკაში“ და „სალექციო კურსი „საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) საერთაშორისო პოლიტიკაში, ხელნაწერი“. ისტორიის მოსაძიებლად მოვიშველიე გურამ შარაძის კვლევები და თანამედროვე ავტორთა საკონფერენციო მასალები თემაზე „სამხრეთ კავკასია: რეგიონული თანამშრომლობის პრობლემები და პერსპექტივები (2020 წ.). თამარ ქარაიას „ისტორიის ინტერპრეტაცია სამხრეთ კავკასიაში“ (სამხრეთ კავკასიის ისტორიის საერთო სახელმძღვანელოს მასალებზე დაყრდნობით), ირმა ბაგრატიონის „ინტერნაციონალური მონაწილეობის საკითხი სამხრეთ კავკასიაში“.

Svante E. Cornell., The International Politics of the Armenian-Azerbaijani Conflict: The Original "Frozen Conflict" and European Security (2017).

ეს რედაქტირებული ტომი ყურადღებას ამახვილებს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საერთაშორისო უსაფრთხოების შედეგებზე. სვანტე კორნელი და მისი ავტორები დიდწილად განიხილავენ სამომავლო შეტაკებების პოლიტიკის შედეგებს აშშ-ს, ევროკავშირის, რუსეთის, თურქეთისა და ირანის საგარეო პოლიტიკაში. მასში ასევე მოცემულია არსებული შეთანხმებები, კონფლიქტის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მოლაპარაკებების პროცესის ისტორია.

Kamal Makili-Aliyev., Contested Territories and International Law: A Comparative Study of the Nagorno-Karabakh Conflict and the Aland Islands Precedent (2019).

კამალ მაკილი-ალიევი იყენებს ალანდის კუნძულების დავის შვედეთსა და ფინეთს შორის დავის იურიდიულ პრეცედენტს რომელიც 1921 წელს გადაწყდა - სხვადასხვა არგუმენტების წარმოსადგენად თვითგამორკვევის, შიდა კონფლიქტისა და ტერიტორიული დავის კანონიერების შესახებ. იგი ამ არგუმენტს იყენებს მთიან ყარაბაღში, ყურადღებით შეისწავლის სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეტენზიების სამართლებრივ საფუძველს - აგრეთვე პარალელებს ავლებს ევრაზიასა და ახლო აღმოსავლეთში არსებულ ტერიტორიულ დავებზე.

სარჩევი

ანოტაცია.....2

Annotation.....3

შესავალი.....4

პირველი თავი: მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გავლენა კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების სისტემაზე: მოწყვლადობიდან მყიფე სტაბილურობამდე.....13

1.1. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის წარმოშობის პოლიტიკური და სამხედრო ასპექტები (1988-2020).....14

1.2. რეგიონული აქტორების უშუალო ჩართულობა კონფლიქტის განვითარებაში და მათი მიდგომები.....20

1.3. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ასიმეტრიულობის ფაქტორები - სახელმწიფოთაშორისი ომის კონტექსტში……..…….31

მეორე თავი: პოსტ-ყარაბაღული ომის სინდრომის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მომენტები - მტრობიდან რეინტეგრაციამდე……..36

2.1. ტრანსრეგიონული ეკონომიკური ურთიერთობების გახსნა და მისი განვითარების პერსპექტივები……..37

2.2. ახალი რეგონული უსაფრთხოების მოდელი კავკასიაში - „3+3“ ინიციატივა და მოსკოვის 2020 წლის ნოემბრის ხელშეკრულება……43

2.3. ახალი გეოსტრატეგიული ძალთა ბალანსის ფაქტორი ყარაბაღის ომის შემდეგ……60

დასკვნა……..……66

ბიბლიოგრაფია……69

პირველი თავი: მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გავლენა კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების სისტემაზე: მოწყვლადობიდან მყიფე სტაბილურობამდე

სამხრეთ კავკასიის რეგიონი ისტორიულად წარმოადგენს გლობალური მოთამაშეების ინტერესების გადაკვეთის არეალს. თავისი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ამ რეგიონისადმი ინტერესი არ ნელდება თანამედროვე პერიოდშიც. არსებული ენერგო პროექტები თუ სხვა სატრანზიტო დერეფნები მის როლს და ფუნქციას საკმაოდ ზრდის. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა მშნიშვენლოვანი გავლენა მოახდინა კავკასიის რეგიონალურ უსაფრთხოებაზე, სადაც ღიად მოხდა გამოკვეთა ახალი გეოპოლიტიკური მოთამაშის რეგიონში. რაც შეეხება რეგიონის მოწყვლადობას ის საკმადო დიდ ყურადრებას იპყრობს საერთაშორისო პოლიტიკაში აქედან გამომდინარე გარკვეული ჩარევები უცხო ქვეყნების აქტიურად მიმდინარეობს. რომლებიც ზოგჯერ მშვიდობით არიან დაინტერესებული ზოგჯერაც კი კონფლიქტების გაღვივევით, გამომდინარე მათი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან. კონფლიატის მიმდინარეობისას ღიად გამოიკვეთა თუ რამდენად მყიფეა რეგიონში სტაბილურობა და როგორ შეუძლიათ გარე თუ შიდა ძალებს არსებული სტაბილურობის დარღვევა. რეგიონში არსებული სხვადასხვა გეოპოლიტიკური ძალები კონფლიქტის შემდგომ გარკვეულ წილად შეთანხმდნენ მშვიდობის შენარჩუნებაზე თუმცა ჯერ კიდევ უცნობია თუ სანამდე იქნება მშიდობა დამყარებული. სტაბილური და მშვიდობიან სამხრეთ კავკასიის რეგიონს ჭირდება მეტი დიალოგი და სხვადასხვა ეკონომიკური პროექტები რომელიც გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ამ რეგიონის ქვეყნებს და კონფლიქტურ მხარეებს შორის ინტეგრაციის და პოლიტიკური კავშირების აღდგენის პროცესს. ნათელია, რომ ყველა დაპირისპირებულ მხარეს უნდა აწყობდეს მშვიდობა და მათი მისწრაფებები უნდა იყოს სტაბილურობის შენარჩუნება, თუმცა აქაც რა თქმა უნდა

გასათვალისწინებელია პოლიტიკუტი ინტერესების საკითხი რომლის ბოლომდო დათმობის ხარჯზეც არ უნდა მოხდეს სტაბილურობა შენარჩუნებული, რადგან ეს იქნება დროებითი.

1.1. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის წარმოშობის პოლიტიკური და სამხედრო ასპექტები (1988-2020)

1980-იანი წლების შუა პერიოდში გორბაჩოვმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში (სსრკ) წამოიწყო ახალი რეფორმების პოლიტიკა. "პერესტროიკის" და "გლასნოსტის" სახელით ცნობილმა ამ რეფორმების პოლიტიკამ, განსაკუთრებით გლასნოსტმა, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა უფრო ღია დისკუსიასა და დებატებზე, სსრკ-ში ნაციონალობების საკითხის აღორძინებას გაუხსნა გზა. ამ რეფორმების ეპოქამ საბჭოთა რესპუბლიკებში გამოიწვია ნაციონალიზმის აღზევება. ამ ნაციონალისტური აღორძინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო მთიანი ყარაბაღის მხარე, რომელიც იყო აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში. თუმცა, ამ რეგიონის მოსახლეობის დაახლოებით ოთხმოცი პროცენტი სომხებისაგან შედგებოდა. შედეგად, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ქუჩებში დემონსტრაციები გაიმართა და სომხეთი და სომეხი ხალხი ითხოვდა მთიანი ყარაბაღის ოლქისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გაერთიანებას.

1988 წლის თებერვალში სტეპანაკერტთან (მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანის ოლქის დედაქალაქი) და ერევანში ჩატარებული მასობრივი დემონსტრაციების ფონზე, მთიანი ყარაბაღის სახალხო დეპუტატთა საბჭომ 110 ხმით 17-ის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითხოვდა ოლქის გადაცემას სომხეთის სსრ-სთვის. ეს ადრეული დემონსტრაციები შეწყდა გორბაჩოვის შეთავაზებით, ამ დბრკოლებიდან გამოსულიყვნენ მშვიდობიანი გზით. თუმცა, თებერვლის ბოლოს ერევანსა და სტეპანაკერტში ჩატარებულმა მასობრივმა დემონსტრაციებმა გამოიწვია ძალადობა აზერბაიჯანის მხრიდან სომხების წინააღმდეგ, რაც გადაიზარდა სამდღიან კონფლიქტში, სუმგაითში. ეს გარდამტეხი იყო რეგიონის მომავლისთვის, რადგან საბჭოთა პერიოდის განმავლობაში რეგიონში მშვიდობა სუფევდა, მაგრამ ამ კონფლიქტის შემდეგ ამ

ორმა ეთნიკურმა ჯგუფმა მიმართა ძალადობას ერთმანეთის წინაღმდეგ. ამ მოვლენების გამო, შედარებით მშვიდობიანი პერიოდი დასრულდა.

საბჭოთა ოფიციალური პირები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს რეგიონში განვითარებულ მოვლენებს. მათ გადაწყვიტეს თავიდან აეცილებინათ კონფლიქტი, რადგან იგი აჩვენებდა ესკალაციის მზარდ ტენდენციას. განსაკუთრებით, ორივე მხრიდან იზრდებოდა დაღუპულთა რიცხვი. ამიტომ ჯარები გაგზავნეს მოსკოვიდან ბაქოში და ცენტრალურმა მთავრობამ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. სვანტე კორნელი აღნიშნავს, რომ ამ დაძაბული ვითარების გათვალისწინებით, საბჭოთა ლიდერებმა ყარაბაღის რეგიონში შექმნეს სპეციალური ადმინისტრაცია. იგი ჯერ კიდევ იურიდიულად აზერბაიჯანის შემადგენლობაში იყო, მაგრამ მოსკოვმა პირდაპირი კონტროლი აიღო. თუმცა, იმავე პერიოდში, ზოგადი ვითრება გაუარესდა საბჭოთა კავშირშიც. გეუკჯიანმა ხაზი გაუსვა, რომ 1989 წლის მარტის ნახევრად თავისუფალი არჩევნების და აღმოსავლეთ ევროპაში რეჟიმების დანგრევის შემდეგ, მოსკოვმა შეცვალა თავისი პოლიტიკა მთიან ყარაბაღში. ეს იმიტომ მოხდა, რომ რეგიონის სპეციალურმა ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო სტაბილურობა და ვერ მოახერხა კონფლიქტის გადაწყვეტა. მოსკოვმა გადაწყვიტა სპეციალური ადმინისტრაციის გაუქმება და მთიანი ყარაბაღის კონტროლი დაუტოვა აზერბაიჯანს 1989 წლის ნოემბერში.[2]

1991 წლის ბოლომდე მთიანი ყარაბაღის შესახებ ორმხრივი პრეტენზიები მწვავე ბრძოლით წარიმართა. თუმცა, კონფლიქტები მცირე ტერიტორიებით შემოიფარგლებოდა და ამ პერიოდის განმავლობაში არ გავრცელებულა მთელ რეგიონში. ადრეული კონფლიქტები შეიძლება შეფასდეს, როგორც ინტერ-კომუნალური ძალადობა. 1991 წელი მნიშვნელოვანი იყო რეგიონის მომავლისთვის. როგორც კროისანტი ამტკიცებდა, გორბაჩოვის ჩამოგდებამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ უარყოფითი როლი ითამაშა სომხეთსა და

[2] AKGUL M., ,,THIRD PARTY INVOLVEMENT PROCESS TO THE NAGORNO- KARABAKH CONFLICT", University of Illinois at Urbana-Champaign, 2017. P.12. https://www.ideals.illinois.edu/bitstream/handle/2142/98431/AKGUL-THESIS-2017.pdf?sequence=1&isAllowed=y

აზერბაიჯანს შორის კონფლიქტში. მთიანი ყარაბაღიდან საბჭოთა ძალების გაყვანის შემდეგ, 1991 წლის ბოლო თვეებში, ამ რეგიონის გარშემო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტი შეიძლება შეფასდეს, როგორც სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი.

1991 წლის ბოლომდე საერთაშორისო საზოგადოება კონფლიქტს განიხილავდა, როგორც საბჭოთა კავშირის შიდა პრობლემას, რადგან ორივე რესპუბლიკა რჩებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ამ პერიოდში სომხეთმა 70-ე მუხლის საფუძველზე სცადა რეგიონის სამართლებრივი სტატუსის შეცვლა, რაც ადასტურებს ხალხის თვითგამორკვევის უფლებას. ამ მუხლის მითითებით, 1988 წლის თებერვალში, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა შეერთებოდა სომხეთს. აზერბაიჯანმა ეს მოთხოვნა უარყო 78-ე მუხლის საფუძველზე, სადაც ნათქვამია, რომ "კავშირის რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე. საზღვრები კავშირის რესპუბლიკებს შორის შეიძლება შეიცვალოს კავშირის შესაბამისი რესპუბლიკების თანხმობით, სსრკ-ს მიერ დადასტურების საფუძველზე ". სომხეთთან შეერთების მოთხოვნის შემდეგ, 1988 წლის ივლისში, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადასტურა მთიანი ყარაბაღის სტატუსი, როგორც ავტონომიური რეგიონი აზერბაიჯანის შემადგენლობაში.

სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის კონფლიქტის ევოლუცია ინტერ-კომუნალურიდან სახელმწიფოთაშორის კონფლიქტამდე ხდებოდა საერთაშორისო სისტემის ევოლუციის დროს. ეს იყო ცივი ომის სისტემის დასასრული და საბჭოთა კავშირის დაშლა. ახლად დამოუკიდებლობა მიღებული სახელმწიფოების რიცხვი იზრდებოდა. საერთაშორისო აქტორებმა და ორგანიზაციებმა განსაზღვრეს თავიანთი პრიორიტეტები და პოლიტიკა ამ ახალი გარემოს შესაბამისად. მეორეს მხრივ, ამ ახალმა სისტემამ ახალი გამოწვევები და პრობლემები მოიტანა. ამ პრობლემების სხვა ასპექტი იყო ის, რომ საერთაშორისო საზოგადოება არ იყო მზად გადაწყვეტილებების სწრაფად მისაღებად და არ იცოდა როგორ გამკლავებოდა ამ ახალ გამოწვევებს. ერთ-

ერთი ასეთი გამოწვევა იყო სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის მიმდინარე ეთნიკური კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის რეგიონის გამო. საერთაშორისო საზოგადოებამ ნელა დაიწყო ინტერესის გამოხატვა ამ კონფლიქტის მოგვარებისადმი. [3]

თავიდანვე რეგიონის ქვეყნები, როგორიცაა ყაზახეთი, რუსეთის ფედერაცია და ირანი, ცდილობდნენ გამოსავალი მოეძებნათ რეგიონში უსაფრთხოების, სტაბილურობისა და მშვიდობის დასამყარებლად. ამ რეგიონული ძალების გარდა, ჯონ მარესკამ ხაზი გაუსვა დასავლეთის ძალების ადრეულ მიდგომას ამ კონფლიქტის მიმართ. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) ელჩი ეუთოში, იგი აღნიშნავს, რომ "რუსეთთან და ყოფილ სსრკ-სთან დაკავშირებული საკითხების იერარქიული მიდგომით, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი აშშ-ს ან სხვა დასავლეთის ლიდერების მიერ არ იყო განხილული, როგორც მთავარი პრიორიტეტი, რადგან ეს არ იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დასავლური ინტერესებისთვის. მაშინაც კი, როდესაც ომმა მაღალი დონის ყურადღება მიიპყრო, იგი არ იქნა გამოყენებული შეთანხმებულად და არც გაგრძელებულა". სტრობ ტალბოტმა, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის სპეციალურმა მრჩეველმა ახლად დამოუკიდებლობა მიღებულ სახელმწიფოებთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ აშშ არ ითამაშებს რაიმე აქტიურ როლს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე. ამის ნაცვლად, ისინი ხელს შეუწყობენ ორ ქვეყანას შორის შესაძლო გადაწყვეტის ძიების საერთაშორისო მცდელობებს ისეთი ორგანიზაციების გამოყენებით, როგორიცაა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (NACC), გაერო და ეუთო. როგორც ადრეული მიდგომიდან ჩანს, საერთაშორისო საზოგადოების ტენდენცია იყო ამ პრობლემის გადაჭრა მრავალმხრივი ინსტიტუციების მეშვეობით. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ არც ერთ დაინტერესებულ მხარეს არ სურდა ყოფილი საბჭოთა

[3] AKGUL M., ,,THIRD PARTY INVOLVEMENT PROCESS TO THE NAGORNO- KARABAKH CONFLICT", University of Illinois at Urbana-Champaign, 2017. P.15. https://www.ideals.illinois.edu/bitstream/handle/2142/98431/AKGUL-THESIS-2017.pdf?sequence=1&isAllowed=y

კავშირის რეგიონში უშუალოდ ჩართვა. გარდა ამისა, რუსული მიდგომები გაურკვეველი იყო ცივი ომის შემდგომი ეპოქის დასაწყისში. სომხეთი, აზერბაიჯანი და ყარაბაღში მცხოვრები სომხები არიან ბრძოლის ძირითადი მხარეები 1988 წლიდან. ყარაბაღში მცხოვრები სომხები ითხოვდნენ "თვითგამორკვევის უფლებას", რომელიც საბოლოოდ მიზნად ისახავდა სომხეთთან ინტეგრაციას. ისინი ამტკიცებდნენ, რომ თუ აზერბაიჯანს ჰქონდა სსრკ-სგან გამოყოფის უფლება, მაშინ მათ შეეძლოთ აზერბაიჯანისგან გამოყოფა. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი სტრატეგიულ და ლოგისტიკურ მხარდაჭერას უწევდა ყარაბაღში მცხოვრებ სომხებს, იგი ამ კონფლიქტის აქტიური მხარე არ გამხდარა. სომხეთს არ სურდა გამოჩენილიყო, როგორც ქვეყანა, რომელიც ერეოდა აზერბაიჯანის შიდა საქმეებში, მიუხედავად იმისა, რომ მთიანი ყარაბაღი სომხეთის საშინაო პოლიტიკაში მწვავე საკითხი იყო. მეორეს მხრივ, აზერბაიჯანი მიისწრაფვოდა ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისკენ და აცხადებდა, რომ შესაძლოა მათ მთიანი ყარაბაღის რეგიონს მიანიჭონ ავტონომია. რეგიონული ან გლობალური ინდივიდუალური აქტორების სურვილის არ ქონის საწინააღმდეგოდ, ჩართულიყვნენ მთიანი ყარაბაღის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტში, იმ წლებში აყვავდა ახალი იდეა რეგიონული შეთანხმებების შესახებ, რომელიც მოქმედებდა მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით, გაეროსა და გლობალური კონფლიქტების ჰუმანიტარული ასპექტების მზარდმა მონაწილეობამ, იუგოსლავიის კრიზისის მაგალითზე, საჭირო გახადა გაეზიარებინათ გაეროს სამშვიდობო ოპერაციების ტვირთი. სწორედ ამიტომ, რეგიონალიზმისა და რეგიონალური მოწყობის იდეა მნიშვნელოვანი გახდა გასული საუკუნის 90-იან წლებში.

1990-იანი წლების დასაწყისში ყარაბაღის სომხურმა ძალებმა, სომხეთის მხარდაჭერით, დაამყარეს კონტროლი სამხრეთ-დასავლეთ აზერბაიჯანზე, მთიანი ყარაბაღის და ანკლავის სომხეთთან დამაკავშირებელი ტერიტორიების ჩათვლით. ამ ყოველივეს მოჰყვა მოლაპარაკებების სერია - რომელსაც ხელმძღვანელობდა რუსეთი და კომიტეტი, რომელსაც არაფორმალურად

"მინსკის ჯგუფი" უწოდეს (სახელწოდება მიენიჭა მინსკში (ბელორუსი) გათვალისწინებული სამშვიდობო კონფერენციის გამო, რომელიც არ განხორციელებულა) - რომელმაც ვერ მიაღწია ხანგრძლივ რეზოლუციას, თუმცა უზრუნველყო 1994 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, რომელიც, პერიოდულად ირღვეოდა, მაგრამ ძირითადად დაცული იყო. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტის მიმდინარე ძიება კიდევ უფრო გართულდა სადავო ტერიტორიის პოლიტიკური მისწრაფებების გამო. თვითგამოცხადებულმა მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1992 წლის დასაწყისში და მას შემდეგ ჩაატარა რამდენიმე დამოუკიდებელი არჩევნები, ასევე 2006 წელს ჩატარდა რეფერენდუმი, რომელმაც დაამტკიცა ახალი კონსტიტუცია. აზერბაიჯანმა ეს ქმედებები უკანონოდ გამოაცხადა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. [4]

XXI საუკუნის დასაწყისში თვითგამოცხადებული ანკლავის დამოუკიდებლობა არ იქნა აღიარებული საერთაშორისო დონეზე. 2008 წლის ნოემბერში სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა, რომელიც დაიბადა მთიან ყარაბაღში და აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას - პირველი ასეთი შეთანხმება 15 წლის შემდეგ - რაც იყო პირობა, რომ გაძლიერდებოდა მცდელობები მთიანი ყარაბაღის რეგიონის კონფლიქტის მოსაგვარებლად. ორ ქვეყანას შორის დროდადრო დაახლოების ჟესტების მიუხედავად, ეპიზოდური შეტაკებები მოხდა 2010-იანი წლების განმავლობაში. 2019 წელს სომხეთის ახალმა მთავრობამ მთიანი ყარაბაღის შესახებ ახალი მოლაპარაკებების დაწყების იმედი მოიტანა, მაგრამ დიპლომატიის ჩამოშლამ 2020 წელს ივლისში გამოიწვია შეტაკებები. მიუხედავად იმისა, რომ შეტაკებები ხანმოკლე იყო, რეგიონი ემზადებოდა ესკალაციის შესაძლებლობისთვის: რუსეთმა, სომხეთის უსაფრთხოების გარანტორმა, ცალმხრივი სამხედრო წვრთნები ჩაატარა კავკასიის მახლობლად

[4] Zeidan A., ,,Nagorno-Karabakh " region, Azerbaijan, 2020. P.1. https://www.britannica.com/place/Nagorno-Karabakh (ბოლო ნახვა - 10.05.2021)

ცეცხლის შეწყვეტიდან რამდენიმე დღეში. თურქეთმა მალევე ჩაატარა ერთობლივი სამხედრო წვრთნები აზერბაიჯანთან.

1.2. რეგიონული აქტორების უშუალო ჩართულობა კონფლიქტის განვითარებაში და მათი მიდგომები

როდესაც საქმე ეხება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ რუსეთის პოლიტიკას, მცდარი იქნება მოსაზრება, რომ არსებობს ერთიანი რუსული პოზიცია კონფლიქტის მიმართ, რამაც განსაზღვრა მისი საგარეო პოლიტიკის ტრაექტორია. მართლაც, ამ მხარისადმი რუსეთის პოლიტიკა ვითარდება კონფლიქტის დასაწყისიდან და ხასიათდება სხვადასხვა ტენდენციით, ცივი ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში. შემდეგ ნაწილში მოცემულია კონფლიქტის მიმართ განვითარებული რუსული პოლიტიკის შედარებითი ანალიზი, ანალიტიკურ ჩარჩოდ სამი განსხვავებული პერიოდის გამოყენებით, კერძოდ, პერიოდები კონფლიქტის დაწყებიდან ცივი ომის დასრულებამდე, ელცინის ეპოქა და პუტინის პრეზიდენტობიდან დღევანდელ დღემდე.

ეს სამი პერიოდი შეირჩა იმიტომ, რომ მათი შესწავლით მარტივად შეიძლება განისაზღვროს რუსული პოლიტიკის სხვადასხვა საგარეო პოლიტიკური მოდელები კონფლიქტის მიმართ.[5]

პერიოდი I: კონფლიქტის დასაწყისი – ცივი ომის დასასრული 1988-1991

როგორც აბუშოვი აღნიშნავს, კონფლიქტის დასაწყისში მთიანი ყარაბაღის მიმართ რუსეთის პოლიტიკა შეიძლება შეფასდეს, როგორც არათანმიმდევრული და მკაფიო სტრატეგიის არმქონე. ეს შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ცივი ომის კონტექსტში, კონფლიქტი საბჭოთა კავშირისთვის მხოლოდ შიდა საკითხს წარმოადგენდა და შეშფოთება იმის თაობაზე, რომ იგი შეიძლება გამწვავებულიყო და საფრთხე შეექმნა კავშირისთვის შეზღუდული იყო, ვინაიდან კონფლიქტის ორივე მხარე იყო სსრკ-ს უშუალო კონტროლის

[5] Daskalova A., ,,Problem or Solution? Russia's Role in the Nagorno-Karabakh Conflict", Oct 19 2015. P.1. https://www.e-ir.info/2015/10/19/problem-or-solution-russias-role-in-the-nagorno-karabakh-conflict/ (ბოლო ნახვა - 14.05.2021)

ქვეშ და ამიტომ უფრო ადვილი იყო მათზე ზეწოლა ან მათი გავლენის სფეროში შენარჩუნება და ამით კონფლიქტის შეკავება.

რუსეთის თავდაპირველი პოზიცია, როდესაც რუსეთის საგარეო პოლიტიკური ინტერესები ჯერ კიდევ არ იყო მკაფიოდ შემუშავებული, იყო სომხური მხარის დახმარება; პოზიცია ემყარებოდა როგორც იდენტურობას, კულტურულ, რელიგიურ და ენობრივ სიახლოვეს, ასევე სტრატეგიულ მოსაზრებებს. თუმცა, ეს პერსპექტივა ეჭვქვეშ რჩება, რადგან, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი იმდენად უთანხმოების გამომწვევი საკითხია, რომ პოლიტოლოგების პოზიციები ხშირად აზიანებს დავის ერთ ან მეორე მხარეს, რაც ართულებს მათი დამაჯერებლობის განსაზღვრას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ასევე არსებობენ ანალიტიკოსები, მაგალითად, პანოსიანი, რომლებიც ვარაუდობენ, რომ საბჭოთა კავშირი, რომელსაც დაშლის დაწყებამდე ჰქონდა ტენდენცია, მხარი დაეჭირა რესპუბლიკების ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, რომლებსაც უხდებოდათ მთიანი ყარაბაღის მსგავს "ურჩ" რეგიონებთან გამკლავება, მხარს უჭერდა აზერბაიჯანს. მიუხედავად ამ კონტრასტული შეხედულებებისა, სარწმუნოა, რომ ცივი ომის დასრულებისთანავე შეიძლება დავაკვირდეთ თუ რა იქნებოდა ამ ანალიზის მიზნებისთვის განსაზღვრული, როგორც პირველი აშკარა ევოლუცია რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიდგომაში, კერძოდ, როდესაც რუსეთმა დაიწყო სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის მკაფიო სტრატეგიის განსაზღვრა, რომელიც თავის მხრივ აყალიბებდა კონფლიქტის უწყვეტი სტრატეგიის საფუძვლებს.

1991 წლის შემოდგომაზე სსრკ-ის დაშლამ გამოიწვია კავშირის რესპუბლიკების, მათ შორის სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა, რამაც კონფლიქტი საბჭოთა შიდა პრობლემიდან გადააქცია სახელმწიფოთაშორის პრობლემად. ამას მივყავართ კვლევის შემდეგ პერიოდამდე, კერძოდ, ელცინის ეპოქამდე.

პერიოდი II: ელცინის ეპოქა 1991-1999 ელცინის ეპოქამ მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა რუსეთის პოლიტიკაში რეგიონის მიმართ. ეს ცვლილება შესამჩნევი გახდა საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის განსაზღვრის შემდეგ, 1992 წელს, როდესაც რუსეთმა შეიმუშავა სტრატეგიული ინტერესი დავის ინსტრუმენტალიზაციისთვის ანუ გამოიყენა იგი საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად. თუმცა მნიშვნელოვანი კითხვაა, რამ გამოიწვია ეს ცვლილება? მას შემდეგ, რაც დაკარგა საბჭოთა დიდება, რუსეთმა იგრძნო შეშფოთება თავის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, გავლენა მოეხდინა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე და ხელი შეეშალა სხვა დაინტერესებული გარე აქტორების ჩარევისთვის იმ ტერიტორიეაზე, რასაც ის ისტორიულად ყოველთვის თვლიდა თავის "უკანა ეზოდ". რეგიონში თავისი სტრატეგიული ინტერესების გატარება რუსეთისთვის უპირველესი პრიორიტეტი გახდა.

მიუხედავად 1992 წელს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებისა, როგორც ზოგიერთი ანალიტიკოსი აღნიშნავს, კომუნიზმის დაცემიდან პირველ წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკა რჩებოდა ქაოტური, ”სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა ნაწილის მიერ საკუთარი დღის წესრიგის განხორციელებით”. შედეგად, რუსეთის საგარეო და თავდაცვის სამინისტროებმა ვერ შეძლეს შეთანხმებულიყვნენ ერთიან პოზიციაზე ამ საკითხთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში ჩართვის თაობაზე. ამის მიუხედავად, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტით მანიპულირებით, რუსეთმა საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელების შესაძლებლობა დაინახა.[6] საკმაოდ მოხერხებულად, მან დაიწყო დავის გამოყენება როგორც ბერკეტი ორივე მხარის წინააღმდეგ, რაც მიზნად ისახავდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მათზე კონტროლის შენარჩუნებას, ზეწოლის განხორციელებით და ისეთი პირობების დაწესებით, რომლებიც მის

[6] Daskalova A., ,,Problem or Solution? Russia's Role in the Nagorno-Karabakh Conflict", Oct 19 2015. P.1. https://www.e-ir.info/2015/10/19/problem-or-solution-russias-role-in-the-nagorno-karabakh-conflict/ (ბოლო ნახვა - 14.05.2021)

პოლიტიკას შეუწყობდა ხელს. ამ კონტექსტში, როგორც აბუშოვმა სწორად შენიშნა, მთიანი ყარაბაღი გამოიყენებოდა, როგორც სავაჭრო უპირატესობა, ბიძგი მიეცა აზერბაიჯანისთვის შესულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) და განეთავსებინა სამხედრო ბაზები თურქეთისა და ირანის საზღვართან და ამით უზრუნველეყო, რომ აზერბაიჯანი დარჩებოდა მისი გავლენის სფეროში და თავიდან აიცილებდა არასასურველ გარე ჩარევას. მარესკას სიტყვებით, რუსეთი თავის მოვალეობად თვლიდა, მხოლოდ თავად ყოფილიყო პასუხისმგებელი კონფლიქტის მოგვარებაზე და როგორც ამ მიზნის მიღწევის საშუალება, ცდილობდა მოეხდინა საერთაშორისო საზოგადოების დისტანცირება კონფლიქტისგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა შესაბამისი მოთამაშეების როლის შეზღუდვით.

კონფლიქტის მენეჯმენტში ლიდერის პოზიციის უზრუნველსაყოფად, რუსეთმა მიიღო ჭკვიანი ტაქტიკა - მან კონფლიქტის მხარეებს ცალმხრივი წინადადება წარუდგინა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რაც პირდაპირ კონკურენციას უწევდა ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის კომისიის საერთაშორისო წინადადებას. სტრატეგია, რომელიც მიზანმიმართულად შეიქმნა, რათა კონფლიქტურ მხარეებს მისცემოდათ შესაძლებლობა "ევაჭრათ" საუკეთესო შეთავაზებისთვის. ამის მიუხედავად, რუსეთმა უზრუნველყო, რომ მისი წინადადება ალტერნატიულ შეთავაზებაზე უპირატესი ყოფილიყო და, შესაბამისად, ელცინის სიტყვებით, მას მინიჭებოდა ”სპეციალური უფლებამოსილებები, როგორც მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტს ყოფილი საბჭოთა კავშირის რეგიონებში”.

ენერგეტიკული მოსაზრებები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინტერესი იყო, რომლის დაცვაც რუსეთმა სცადა კონფლიქტის გამოყენებით ბაქოს წინააღმდეგ, რათა ხელი შეეშალა მილსადენის მშენებლობისთვის, რომელიც კასპიის ზღვას დააკავშირებდა ხმელთაშუაზღვის პორტებთან, რაც არასწორად გათვლილი მცდელობა აღმოჩნდა. რუსეთმა ასევე გააქტიურა ურთიერთობა კონფლიქტის დროს უფრო დაუცველ და ეკონომიკურად დაზარალებულ მხარესთან,

სომხეთთან, მისი იარაღით მომარაგებით. ამრიგად, შეინარჩუნა დამოკიდებულება, რის შედეგადაც სომხეთმა სულ უფრო და უფრო დაიწყო რუსეთის, როგორც "მისი არსებობის გარანტის" აღქმა. ეჭვგარეშეა, რომ რუსეთმა დიდი წვლილი შეიტანა პირდაპირი სამომარი მოქმედებების განახლებასა და 1994 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერაში. პარადოქსულად, ამავდროულად მან არ ისურვა კონფლიქტის გრძელვადიანი პოლიტიკური გადაწყვეტა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთი და იგივე მონეტის ორი მხარეა - მაშინ, როდესაც ერთი მხრივ, "ცხელ" კონფლიქტს რუსეთის "ახლო საზღვარგარეთში" შეიძლება განეცადა გადაღვრის ეფექტი და ამით საფრთხე შეექმნა მისი უსაფრთხოებისთვის, მეორე მხრივ, "გაყინული" კონფლიქტის შენარჩუნებას რეგიონში, სადაც რუსეთი მთავარ შუამავლად იქცა, სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მისი საგარეო პოლიტიკური ინტერესებისთვის. როგორც ჩანს, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის რუსეთის მიერ სტაბილური გზით მოგვარება არ იყო სასურველი ელცინის ეპოქაში, რადგან იგი მას ჩამოართმევდა პოლიტიკურ ბერკეტებს და, სავარაუდოდ, შეასუსტებდა მის, როგორც ძირითადი რეგიონალური მოთამაშის პოზიციას და, შესაბამისად, უნარს, გავლენა მოეხდინა მომავალ განვითარებებზე რეგიონში.

ამ ქვეპუნქტის ანალიზმა ნათლად აჩვენა, რომ რუსეთმა წარმატებით მოახერხა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის, როგორც საგარეო პოლიტიკური აქტივის, გამოყენება, რომელიც ემსახურებოდა მის მოკლევადიან ინტერესებს რეგიონში. რამდენად შეესაბამებოდა რუსეთის გრძელვადიან ინტერესებს კონფლიქტის გადაუჭრელობა, შეფასებული იქნება იმის განხილვით, თუ როგორ განვითარდა მისი პოლიტიკა ბოლო ათწლეულის განმავლობაში პუტინის პირველი საპრეზიდენტო ვადის შემდეგ.

პერიოდი III: პუტინის პირველი საპრეზიდენტო ვადა – დღემდე 2000-2014

რუსეთის მონაწილეობა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში არის ელცინის პუტინისთვის დატოვებული მემკვიდრეობის ნაწილი. ზოგიერთი

ანალიტიკოსი დარწმუნებით ამტკიცებს, რომ პუტინის სახელმწიფო ადმინისტრაციის ცენტრალიზაციის პოლიტიკის შედეგად, სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ რუსეთის საგარეო პოლიტიკა გახდა უფრო თანმიმდევრული და ერთგვაროვანი, საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს შორის მიმდინარე შიდა დაყოფის ქმედებების მახასიათებლების გარეშე.

რეგიონის მიმართ რუსეთის პოლიტიკის ეს ერთიანობა გამომდინარეობს იქედან, რომ ნიგრენის სიტყვებით, პუტინი ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანია რუსეთში, რომელსაც აქვს მკაფიო პერსპექტივა თავისი ქვეყნის წარსულსა და მომავალზე და მკაფიო ხედვა მის საგარეო პოლიტიკაზე დსთ-ს მიმართ. ელცინის შემდგომ პერიოდში რუსეთი კვლავ რჩება რეგიონალურ ძალად, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს პროცესის დინამიკაზე.

პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან დაიწყო რუსეთის ენერგორესურსების გამოყენება, როგორც საგარეო პოლიტიკის წარმართვის საშუალება, რუსეთი უფრო დარწმუნებული გახდა პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ თავის პოლიტიკაში. მართლაც, დიდი რუსეთის აღდგენის სურვილი, რომელიც ქვეყნის შიგნით ძლიერი და თავდაჯერებული და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ უფრო მკაცრი ლიდერი იქნებოდა, აშკარად გახდა რუსეთის პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა მისი ”ახლო საზღვარგარეთის” მიმართ, რაც აშკარად გმოხატულია პოპესკუს განცხადებაში: ”დროა აღვადგინოთ დიდი ძალა და დსთ არის სივრცე, სადაც უნდა დამყარდეს რუსეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და საინფორმაციო დომინირება”. ხშირად ამტკიცებენ, რომ პუტინს უფრო ნეიტრალური დამოკიდებულება ჰქონდა კონფლიქტის მხარეების მიმართ, ვიდრე მის წინამორბედს, რის შედეგადაც რუსეთმა დაიწყო მოქმედება, როგორც რეალურმა შუამავალმა, ვიდრე კონფლიქტის მხარემ. ამის მიუხედავად, რუსეთის პოლიტიკის ამგვარი სავარაუდო ძვრები სკეპტიკურად უნდა განიხილებოდეს. როგორც გორაგოსიანი აღნიშნავს, ყოველთვის ცხადი იყო, რომ რუსეთის მიდგომა სამხრეთ კავკასიის მიმართ არასოდეს ყოფილა არც

საფრთხის მომტანი და არც მიუკერძოებელი. სინამდვილეში, ის ამტკიცებს, რომ პრეზიდენტ პუტინის პოლიტიკის მიუკერძოებლობა ამ რეგიონის მიმართ სხვა არაფერია, თუ არა კარგად შენიღბული კომფორტული ორ სკამზე ჯდომის სტრატეგია, ანუ კონფლიქტის ორი მხარისადმი თანაბარი მოპყრობა.

მართლაც, ეს ვარაუდი პრაქტიკული თვალსაზრისით დამტკიცებულია იმით, რომ 2007 წლიდან მოსკოვი ორივე მხარის მთავარი მომმარაგებელია იარაღით და სტატისტიკის თანახმად, იგი 2007 წლიდან 2011 წლამდე იყო პასუხისმგებელი იარაღის იმპორტის 55%-ზეაზერბაიჯანში და 96%-ზე სომხეთში. ამრიგად, როგორც ჩანს, როგორც პუტინის პირველი საპრეზიდენტო ვადის წინა პერიოდში მოხდა, კონფლიქტის საბოლოოდ მოგვარება არც რუსეთის პოლიტიკურ და არც მის სტრატეგიულ ეკონომიკურ ინტერესებში არ შედიოდა და, შესაბამისად, რუსეთისთვის ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტი იყო სტატუს კვოს შენარჩუნება.[7]

მთიანი ყარაბაღის დავის პოტენციურ პოლიტიკურ გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა, რაც შეამცირებს სომხეთის (რუსეთის ერთადერთი მოკავშირე რეგიონში) ძლიერ დამოკიდებულებას რუსეთზე და ამით შეასუსტებს მის დასაყრდენს რეგიონში. ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დღევანდელი რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის მიმართ კვლავ განპირობებულია ზემოხსენებული ძველი საბჭოთა ლოგიკით, რომ ორი დაპირისპირებული მხარის უშუალო მეზობლობით, რითაც უზრუნველყოფილია მათ შორის საომარი მოქმედებების შენარჩუნება, რუსეთი ადვილად შეძლებს მათ კონტროლს და თავისი მონოპოლიის გარანტირებას რეგიონში გარკვეულ ინდუსტრიებზე, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით, ენერგომომარაგებაზე; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს რუსეთს საშუალებას აძლევს მოახდინოს სიტუაციის მანიპულირება თავის სასარგებლოდ. რთულია იმ მიმართულების პროგნოზირება, რაც შეიძლება

[7] Daskalova A., ,,Problem or Solution? Russia's Role in the Nagorno-Karabakh Conflict", Oct 19 2015. P.1. https://www.e-ir.info/2015/10/19/problem-or-solution-russias-role-in-the-nagorno-karabakh-conflict/ (ბოლო ნახვა - 14.05.2021)

მომავალში მიიღოს რუსეთის პოლიტიკამ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ. ყირიმის ანექსიამ, რომელიც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ "რუსული დათვი იღვიძებს ხანგრძლივი ზამთრის ძილის შემდეგ", ერთმნიშვნელოვნად დაამტკიცა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე შეზღუდვას, შეკავებას ნებისმიერი ფაქტორის მიერ და მას შეუძლია მოულოდნელად შეცვალოს კურსი, გარემოებების გათვალისწინებით. რა თქმა უნდა, სამშვიდობო პროცესის ხასიათი შეიძლება შეიცვალოს, რადგან, როგორც ჩანს, ყირიმის მოვლენების შემდგომ კონტექსტში, რუსეთი სულ უფრო იზოლირდება საერთაშორისო საზოგადოებიდან, რაც, სავარაუდოდ, დიპლომატიურ თანამშრომლობასა და კოორდინაციას რუსეთსა და კონფლიქტში სხვა გარე აქტორებს შორის უფრო რთულს გახდის. ზოგიერთი ანალიტიკოსი იმასაც კი გვთავაზობს, რომ რადგან მთიანი ყარაბაღი რუსეთს მიმზიდველ გზას სთავაზობს რეგიონში გავლენის უფრო ღრმა კონსოლიდაციისთვის, მოსკოვმა შეიძლება მეტი ბერკეტი მოძებნოს "გაყინული" კონფლიქტის "ცხელ" ომად შესაცვლელად, ამრიგად, ყირიმი მხოლოდ "აღორძინებული რუსეთის ბევრად უფრო ფართო კამპანიის შესავალი იქნება ყოფილ საბჭოთა სივრცეში". ასეთი ექსტრემალური ინტერპრეტაცია სერიოზულად აყენებს ეჭვქვეშ მის დამაჯერებლობას, სულ მცირე, ამ დროისთვის, რადგან დაუცველობა და დაძაბულობა მის ზღურბლთან შეიძლება არ იყოს რუსეთის საგარეო პოლიტიკის გონივრული ნაბიჯი, განსაკუთრებით საერთაშორისო იზოლაციის ზრდის პერიოდში.

ახლა კი განვიხილოთ თურქეთის, როლი ყარაბაღის კონფლიქტში. ცივი ომის დასრულებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია თურქეთზე. ერთი მხრივ, ანკარამ მოიპოვა ახალი ბაზრები და მას შეეძლო თავი წარმოეჩინა, როგორც ახლად დაბადებული მუსულმური რესპუბლიკების მოდელი. მეორე მხრივ, სსრკ-ს დაშლამ თურქეთის სამეზობლო ნაკლებად უსაფრთხო გახადა და ანკარა აღარ იყო დასავლეთის სამხრეთ საზღვარი. ამ კონტექსტში დაიწყო მთიანი ყარაბაღის ომი, რამდენიმე სხვა ომთან ერთად, რამაც თურქეთის სამეზობლო კიდევ უფრო ნაკლებად უსაფრთხო გახდა. დასაწყისში თურქეთმა

ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, მაგრამ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გააქტიურების შემდეგ, ის აზერბაიჯანის პოზიციაზე გადავიდა. იგი მხარს უჭერდა ბაქოს პრეტენზიებს საერთაშორისო ფორუმებში და წვრთნიდა აზერბაიჯანის ჯარებს, მაგრამ უშუალოდ არასოდეს ერეოდა ომში. თურქეთმა ვერ შეძლო სრულიად დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება მთიანი ყარაბაღის კონტექსტში, ვინაიდან მას რამდენიმე შეზღუდვასთან მოუწია გამკლავება. მეორე, 1987 წელს თურქეთმა მოითხოვა სრული გაწევრიანება ევროპის ეკონომიკურ საზოგადოებაში და ომში მონაწილეობა ხელს შეუშლიდა ასეთ პროცესს. მესამე, რუსეთსა და თურქეთს შორის ვაჭრობის დონე უკვე მაღალი იყო და ანკარას არ შეეძლო მისი საფრთხის წინაშე დაყენება. ასეთმა შეზღუდვებმა ნაწილობრივ პოზიტიური როლი შეასრულეს, რადგან ხელი შეუშალეს კონფლიქტის სრულმასშტაბიან რეგიონალურ ომში გადაზრდას, რომელშიც ჩაერთვებოდა რუსეთი და თურქეთი. გარდა ამისა, მოსკოვი არ შეეგუებოდა სხვა სახელმწიფოს გაჩენას, რომელსაც შეეძლო შეწინააღმდეგებოდა მის რეგიონალურ ჰეგემონურ პოზიციას. საგარეო შეზღუდვების გარდა, თურქეთს საკუთარი შიდა პოლიტიკისთვისაც უნდა ეცა პატივი. ქემალიზმის დოქტრინა საშუალებას არ აძლევს ქვეყანას ჩაერიოს სხვა ქვეყნების შიდა საკითხებში. დაბოლოს, იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთს იმ პერიოდში არ ჰქონდა მედიაციის დიდი გამოცდილება, ანკარას დაბალი პროფილი, არა-თავმჯდომარის სტატუსი, მთიან ყარაბაღთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში გასაკვირი არ არის.[8]

ზოგადად, თურქეთის როლის წარდგენის შემდეგ, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში, საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ როგორ აღიქვამენ მხარეები, სომხეთი და აზერბაიჯანი, თურქეთის მონაწილეობას მოლაპარაკებების პროცესში. აზერბაიჯანს ზოგჯერ თურქეთის "პატარა ძმად" მოიხსენიებენ. წლების განმავლობაში ორმა ქვეყანამ შექმნა სტაბილური ურთიერთობა. 1990-

[8] ,,Turkey's role in the Nagorno Karabakh war: a potential resource for peace", Caucasus Edition Journal of Conflict Transformation. P.1. 15 Jul 2013. https://caucasusedition.net/turkeys-role-in-the-nagorno-karabakh-war-a-potential-resource-for-peace/ (ბოლო ნახვა - 14.05.2021)

იან წლებში ბაქოში მომუშავე პირველი უცხოური ფირმები იყო თურქული, მაგრამ ანკარა ხელს უწყობდა კულტურულ ინიციატივებსაც, რათა ხაზი გაესვა ორ სახელმწიფოს შორის მსგავსებებზე. 2010 წელს ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა "შეთანხმებას სტრატეგიული პარტნიორობისა და ორმხრივი მხარდაჭერის შესახებ", სადაც ნათქვამია, რომ მესამე მხარის აგრესიის შემთხვევაში, არსებობს ჩარევის ურთიერთვალდებულება . მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში, ამ მჭიდრო პარტნიორობამ სამი ძირითადი შეფერხება განიცადა. პირველი გაჩნდა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა უარი თქვა ჩრდილოეთ კვიპროსის აღიარებაზე. ბაქოს გადაწყვეტილება გასაგებია, რადგან ჩრდილოეთ კვიპროსის აღიარება სახიფათო პრეცედენტს წარმოადგენდა მთიანი ყარაბაღის საკითხისთვის. მეორე დაძაბული მომენტი იყო 2008 წელს კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. აზერბაიჯანი სერბეთის მხარეს იყო და მან გადაჭრით დაგმო პრისტინას ნაბიჯი. თუმცა, თურქეთმა აღიარა კოსოვოს ახალი სტატუსი, რადგან, ზოგადად, იგი მხარს უჭერს ნებისმიერი ახალი მუსულმური სახელმწიფოს გაჩენას. უკანასკნელი შეფერხება უკავშირდება ციურიხის ოქმების ხელმოწერას სომხეთსა და თურქეთს შორის. აზერბაიჯანმა ეს ღალატად მიიჩნია, რადგან შეთანხმებებში არ იყო ნახსენები მთიანი ყარაბაღის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ამან განაპირობა თურქეთ-სომხეთის საზღვრის დახურვა. ბაქომ რამდენიმე საპასუხო ზომა მიიღო, მაგალითად, თურქული მუსიკისა და ფილმების დროებითი აკრძალვა, რაც მხოლოდ ძალების დემონსტრირება იყო.

მაშინ, როდესაც, მაგალითად, რუსეთთან ხუთწლიანი გაზის მიწოდების ხელშეკრულების გაფორმება და თურქეთში აზერბაიჯანული გაზის ფასის ზრდა უფრო ღრმა შედეგებს იწვევდა. ამ მყარმა სტრატეგიამ შედეგი გამოიღო, რადგან ციურიხის ოქმები ჯერ კიდევ არ არის ძალაში, რადგან არც თურქეთს და არც სომხეთს არ მოუხდენია მათი რატიფიცირება. თურქეთ-აზერბაიჯანის

ურთიერთობებმა გადალახეს ეს სამი დაბრკოლება და სიტუაციიდან უფრო ძლიერები გამოვიდნენ, ვიდრე ადრე.[9]

ურთიერთობა ან ამის არარსებობა თურქეთსა და სომხეთს შორის რთული საკითხია, რომელიც იწყება 1915 წლიდან, როდესაც ოსმალეთის იმპერიამ განახორციელა სავარაუდო სომხური გენოციდი. 1991 წელს, როდესაც სომხეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ანკარამ ცნო ახალი სახელმწიფო და პირველი კონტაქტები იმედისმომცემი იყო. შემდეგ მოხდა ხოჯალის მოვლენები და, როგორც რეაქცია, ანკარამ ჩაკეტა საზღვარი სომხეთთან. ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ნორმალიზების ყველაზე სერიოზული მცდელობა წარმოდგენილია ციურიხის ოქმებით. მათი მიზნები იყო დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, საზღვრების გახსნა და ორმხრივი ვაჭრობის განვითარება. რამდენიმე ფაქტორმა შეარყია ოქმების წარმატების შანსი. სამოქალაქო საზოგადოებებს არ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, სომხურმა დიასპორამ გამოიყენა თავისი ლობირების ძალა ამ ინიციატივის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო აზერბაიჯანი არ იყო ინფორმირებული შეთანხმებების შინაარსის შესახებ.

გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრი ერდოღანი, რომელიც არის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა თურქეთში, უშუალოდ არ მონაწილეობდა ამ პროცესში. ციურიხის ოქმების მარცხი აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თურქეთისთვის სომხეთთან საკითხის გადაწყვეტა, თუ მას სურს უფრო აქტიური როლი შეასრულოს მთიანი ყარაბაღის სამშვიდობო პროცესში. ეს არ ნიშნავს, რომ მოლაპარაკებებმა უნდა მოიცვას სომხეთსა და თურქეთს შორის დახურული საზღვრის საკითხი, მაგრამ მონაწილე მხარეებს მოუწევთ რეალობის გააზრება და თავიანთი პრობლემების

[9] ,,Turkey's role in the Nagorno Karabakh war: a potential resource for peace", Caucasus Edition Journal of Conflict Transformation. P.1. 15 Jul 2013. https://caucasusedition.net/turkeys-role-in-the-nagorno-karabakh-war-a-potential-resource-for-peace/ (ბოლო ნახვა - 14.05.2021)

გადაჭრის გზების მოძებნა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზღვრის საკითხი გადაწყდება, მათ შეეძლებათ თანამშრომლობის დაწყება მთიანი ყარაბაღის ომის დასრულების მიზნით. აქამდე, ამ თვალსაზრისით არ გამოვლენილა სერიოზული ვალდებულები ლიდერების მიერ.

1.3. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ასიმეტრიულობის ფაქტორები - სახელმწიფოთაშორისი ომის კონტექსტში

თანამეროვე საფრთხეების განზომიელბის განხილვისას უნდა ითქვა, რომ ასიმეტრიულ საფრთხეებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ასიმეტრიულ საფრთხეებს გარდა ტერორისტებისა და სხვადასხვა არასახელმწიფოებრივი აგრესიული ჯგუფების ქმნიან კონკრეტული სახელმწიფოებიც. სახელმწიფო პოლიტიკაზე ასიმეტრიული საფრთხეების მოქმედებები ვლინდება რამდენიმე აქტორის დაპირისპირებაში, როგორებიცაა სახელმწიფოები, სხვადასხვა რეგიონალური თუ საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე გარკვეული დაჯგუფებები. აქვე უნდა გამოვკვეთოთ ჰეგემონიის, ალიანსური პოლიტიკის და ასევე უნილატერალიზმის ნეორიალიზმის ფარგლებში ასტრუქტურიზება, რომელშიც ასიმეტრიული საფრთხეების დადეგანს მშნივნელოვანი როლი უჭირავს.

როდესაც ჩვენ განვიხილავთ ასიმეტრიულ საფრთხეებ და საერთოდ ასიმეტრიულობას მნიშვნელოვანი განვმარტოთ თუ რას ოიცავს ასიმეტრიული საფრთხეები და მისი ბუნება. ,,**ასიმეტრიული საფრთხე** - ისეთი სახის საფრთხეა, რომელიც მიმართულია მოწყვლად ადგილებისკენ, როლიებიც დარჩენილნი არიან ყურადღების მიღმა თავდასხმის მიზნით ან მიმართულნი არიან უპირატესობის მოტანისთვის, როდესაც დარტყმის მიზანს შეზღუდული აქვს უნარი თავი დაიცვას.“[10] საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემატიკასთან უფრო მისადაგებულია ასიმეტრიული საფრთხის

[10] მაღრაძე გ., მაისაია ვ., ,,21-საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა, ,,უნივერსალი“, თბილისი, 2017. გვ.25.

განმარტება: ასიმეტრიული საფრთხე რომლის მასშტაბები და შედეგები უცნობია. ასიმეტრიული საფრთხეების კატეგორიაში შედის: ტერორიზმი (საერთაშორისო ტერორიზმი, კიბერტერორიზმი, ბირთვული და ბიოლოგიური ტერორზმი), ჰიბრიდული ომი და ბუნებრივი კატაკლიზმები რომელთა გამოვლენა და რევენცია ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. შესაბამისად პრევენციის ზოების მიღებაც წინასწარ შეუძლებელია საფრთხეების სპეციფიკიდან გამოდინარე.

ასიმეტრიულ საფრთხებთან ერთან უნდა განვმარტოთ ასიმეტრიული ომის ბუნება და სპეციფიკა. ასიმეტრიული ომი ეწოდება ისეთ ომს, როდესაც მეორემარი სამხედრო ძალები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მკვეთრად ანდა მაშინ როდესაც, მათ მიერ გამოყენებული სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა განსხვავდება მნიშვნელოვნათ.[11] ასიმეტრიული ომი გამოიყენება ტერორისტების მიერ, ასევე ამბოხის და პატიზანული ბრძოლისას და მაშნ როდესაც რეგულარულ სამხედრო ძალას როელსაც კარგი შეიარაღება და აღჭურვილობა გააჩნია ებრძვის არალეგურალური ძალა როელიც ცუდადაა აღწურვილი.

ნეორეალიზმის ერთ-ერთი საკმაოდ გამოკვეთილი ,,ძალთა ბალანსის" თეორიის მიხედვით, საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და შეიცავს ასიმეტრიულ საფრთხეებს. ამის გამოხატულებაა საერთაშორისო პოლიტიკაში როგორც მოქმედი აქტორების სახელმწიფოების და არასახელმწიფოებრივი აქტორების ჩართულობა საერთაშორისო პოლიტიკი წარმართვაში. აღნიშნულ აქტორებს უწევთ თავიანთ პოლიტიკური დღის წესრიგში გაითვალისწინონ ასიმეტრიული საფრთხეების ფაქტორი. უსაფრთხოების დილემის კუთხით ასიმეტრიული საფრთხეების განზოილება საკმაოდ დიდ პრობლემებს ქმნის როდესაც სხვადასხვა კონფლიქტურ თუ სამარ მოქმედებაში ხორციელდება.

---

[11] ასიმეტრიული ომი, ქათული სამხედრო ანალიტიკური პორტალი. 6.04.2015. გვ.1. https://gmas.ge/2015/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97/ (ბოლო ნახვა - 19.05.2021)

მთიანი ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტის მიმდინარეობისას გამოიკვეთა რამდენიმე ასიმეტრიული საფრთხის განზომილება. მაგრამ მანამდე უნდა გამოვყოთ საერთო კონტექსტში ე.წ. პატარა ომების საკითხი, როელშიც პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე სხვადასხვა სახელმწიფოები მათი გავლენის ფარგლებში ერთვებიან საომარ მოქმედებებში და წყვიტავენ ომები თუ მცირე კონფლიქტების ბედს. მათი გეოპოლიტიკური თუ გეოეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე. ასევე უნდა ავღნიშნოს, რომ პატარა ომები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის სიტემაზე. რაც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მიმდინარეობისასაც საკმაოდ კარგად გამოიკვეთა, როდესაც მოხდა ახალი ძალთა ბალანსის ჩამოყალიბება რეგიონში.

კარლ-ფონ კლაუზევიცი თავის ნაშრომში ,,ომის შესახებ"[12] განმარტავს, რომ ომის ორბუნევნობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი სადაც, მიმდინარეობს როგორც ობიექტური ასევე სუბიექტური დონეების თაარსებობის პროცესი. ობიექტში იგულისხმება ძლადაბოდა, მოულოდნელობა და შემთხვევითობა. ხოლო სუბიექტურ ნაწილში კი სამხედრო ძალა, დოქტრინები, შეიარაღების კომპონენტები რომელშიც შედის სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო კომპონენტები.

თანამედრო საერთაშორისო პოლიტიკაში გლობალური მსოფლიო უკვე კარგად იცნობს ასიმეტრიული საფრთხეების გამოყენებით წარმოებულ ომებს და კონფლიქტებს როგორიცაა:

1. პოლიტიკურ დონეზე;
2. სტრატეგიულ დინეზე;
3. ოპერატიულ-ტაქტიკურ დონეზე;
4. სამხედრო-ტაქტიკურ დონეზე.

ამდაგვარი დაყოფით შესაძლებელია არა მარტო მათ შორის არსებული განსხვავებები, არამედ უშუალოდ მოვახდინოთ იმის განსაზღვრა თუ რა გერემო პირობები იწვევს ასიმეტრიული და სიეტრიული საფრთხეების

[12] ანთაძე გ., ,,სტრატეგიული კვლევები N2" გამომცემლობა ,,საუნივესიტეტო წიგნი", თბილისი-2009 წელი, გვ.64.

წარმოქმნას მოცემულ დონეებზე. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში უკვე ასიმეტრიული საფრთხეები არის, როგორც სახელმწიფოთა შორის, მათ შორის ქვეყნების შიდა არსებული პოლიტიკის უკვე განუყოფელი ნაწილი.

მთიანი ყარაბაღის ომის მიდინარეობისას გამოიკვეთა ბრძოლის ახალი ტაქტიკა დრონებით რომელმაც საკმაოდ წარმატებული შედეგი აჩვენა ომის საწყის პერიოდში. მრავალი ექსპერტი მიიჩნევს, რომ 2008 წლის ომის იყო თანამედროვე კონფლიქტებში დროენები ომის ეპოქის დასაწყისად, იქიდან გამომდინარე, რომ დაპირისპირებული მხარეებიდან ორივე იყენებდა ბრონების ტექნოლოგიას. ხაზიც უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ზუსტად ამ ომის მერე რუსეთმა გაიზრა თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ოში უპილოტო საფრენი აპარატები და დრონების გამოყენებას. აშკარაა, რომ ამ ომიდან რომელი არაერთ სამხედრო სასწავლებელში ისწავლება საზღვარგარეთ ბევრმა სახელმწიფო გაანალიზა სამხედრო ოპერაციის გარკვეული ეტაპები და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება საომარ მოქმედებებში, როგორც დამრტყმელი ძალა ასევე სადაზვერვო საშუალება საკმაოდ ეფექტურია.

კავკასიის რეგიონის რელიეფიდან გამომდინარე სადაზვერვო და დამრტყმელი დრონები აზერბაიჯანისთვის, სომხეთისთვის და საქართველოსთვისაც პრიორიტეტულ სტრატეგიულ იარაღს უნდა წარმოადგენდნენ.[13] როლის ეფექტურობა სამხედრო ოპერაციის მიმდინარეობისას უკვე გამოვლინდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის პირობებში.

აზერბაიჯანა პირველი ყარაბაღის ომის შემდეგ განცდილი მარცხისა დაიწყო აქტიურად სამხედრო შეიარაღების მოდერნიზე და თანამედროვე რელსებზე გადაყვანა. ის წლების განმავლობა სხვადასხვა მეწინავე შეიარაღების შესყიდვით და ჯარის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებით იყო დაკავებული. მათ შორის საკუთარი სამხედრო ინდუსტრიის განვითარებით, რომლის განხორციელების საშუალბას მას ძლიერი ეკონომიკა აძლევს. სამხედრო

[13] სვიმონიშვილი გ., დრონების ომი კავკასიაში, 15.07.2020. გვ.1. https://iberiamagazine.com/dronebis-omi-kavkasiashi/ (ბოლო ნახვა - 22.05.2021)

პოტენციალის გაზრდა საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული, როლის გარეშე ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეძლებს ძლიერი ჯარის ჩამოყალიბებას. ასევე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საერთაშრისო და რეგიონალურ პარტნიორებთან ქვეყნის პოლიტიკური ურთიერთობები რომელიც მას აძლევს შეისყიდოს მეწინავე სამხედრო შეიარაღება სხვადასხვა სახელმწიფოებისგან, ამ კუთხით კი აღსანიშნავია თურქეთის როლი.

აზერბაიჯანმა ყარაბაღს მეორე ომის დაწყებამდე დაიწყო აქტიურად შესყიდვა სხვადასხვა უპილოტო საშუალებების. 2016 წელს მაშინ როდესაც აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კონფლიქტი კინაღამ მორიგ ომამდე გადაიზარდა, აზერბაიჯანმა გამოიყენა Harop კამიკაძე დრონები რომელიც მას Israel Aerospace Industries (IAI)-მა მიაწოდა ისრაელმა. 2017 წელს Aeronautics-ის გუნდი ჩავიდა აზერბაიჯანში და Orbiter 1K კამიკაძე დრონების მიწოდების საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულ კოპანიასთან აზერბაიჯანმა 2019 წელს 13$ მილიონიანი დრონების შესყიდვის კონტრანტი გააფორმეს. 2019 წელს აზერბაიჯანმა ისრაელისგან SkyStriker დრონები შეიძინა. 2018 წელს უკვე მათ გამოაცხადეს საკუთარი უპილოტო დრონების წარმოებაზე მუშაობის დაწყებაზე. აზერბაიჯანმა თურქეთისგან შეისყიდა უპილოტო საფრენი აპარატი Bayraktar TB2-ი, რომელიც ამერიკული დრონების Reaper-ის და Predator-ის მსგავსია. აღნიშნულ დროს თურქეთი ლიბიაში და სირიაში აქტიურად იყენებდა. ხოლო უკვე ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტისას მისი ეფექტურობა კიდევ უფრო გამოჩნდა საჰაერო დარტყმებისას.

რაც შეეხება სომხეთს მისი უპილოტო საფრენი აპარატები საკმაოდ მოკრძალებულია. 2011 წელს დაწყებული პროგრამის იხედვით მას ყავს Krunk-ის, Baze-ს და Ptero-5-ის მოდელის დრონები. თუ ჩვენ საერთაშორისო კუთხით გავიხილავთ დრონების ტექნოლოგიის მხრივ მეწინავე პოზიციებზე არიან აშშ-ი, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, ჩინეთი, რუსეთი, ირანი, თურქეთი და სხვა ქვეყნები. დროენბის აქტიური გამოყენების პარალელურად უნდა ითქვას, რომ დანარჩენი სამხედრო შეიარაღების როლი და ფუნქცია კვლავ აქტუალურია,

რაც ყარაბაღის ომისაც შეიმჩნეოდა, რადგან უპილოტო დრონების გარდა ხდებოდა გამოყენება სხვადასხვა ჯავშან ტექნიკის, ტანკების, საარტილერიო სისტემების და ზალპური რექტიული სისტეების ინტენსიურად.

მეორე თავი: პოსტ-ყარაბაღული ომის სინდრომის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მომენტები - მტრობიდან რეინტეგრაციამდე

ყარაბაღის მეორე ომმა დაპირისპირებულ მხარეებს დაანახა თუ რამდენად მძიმეა ომის შედეგები და მისგან გამოწვეული სხვადასხვა ნეგატიური პროცესები. შესაბამისად პოლიტიკური დებატების და თანამშრომლობის აუცილებლობას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. კონფლიქტის მონაწილე მხარეები და მათი მოკავშირეები არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ცდილობენ წამოაყენონს სხვადასხვა ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინიციატივები რეინტეგრაციის პროცესის ხელშესაწყობად. რაც აუცილებელი კონფლიქტში დაზარალებული მხარეებისთვის რომელთაც მძიმე რეალობის წინაშე უწევსთ ცხოვრება. ასევე კონფლიქტის დარეგულირების და თავიდან ესკალაციის თავიდან ასაცილებლად აცილებელია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ყრაბაღის ომმა ბევრ სახელმწიფოს დაანახა თუ რამდენად მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიები როლი თანამდროვე ომის წარმოებისას, სამხედრო თვალთსაზრისით ომის წარმოებისას სამხედრო ინფრასტრუქტურის გამართული და კორდინირებული მუშაობის ფაქტორი სწორად წარმოებული სამხედრო ოპერაციებში. ზუსტად ტაქტიკურად გამრთულმა გეგმამ და სწორმა შეფასებამ აზერბაიჯანის მიერ მოწინააღმდეგის შეიარაღების და შესაძლებლობების მას მნისცა შესაძლებლობა ეფექტურად ემოქმედა ნაკლები დანაკარგების პირობებში. ასევე მაინ ასე თუ ისე საკმაოდ კარგად იცოდა რუსეთის კონფლიქტში ჩართულობის ფაქტორი თუ როგორი იქნებოდა და რუსეთს თუ რამდენად იღირდა კონფრონტაციაში შესვლა აზერბაიჯანთან და თურქეთთან რომელთანაც პოლიტკურ და დიპლომატიურ ურთიერთობებს სულ უფორ ამყარებს. გეოსტრატეგიულ კონტექსტში აზერბაიჯანმა და თურქეთმა საკმაოდ კარგად ითამაშეს და

საკუთარი ინტერესებიც დაცვა მოახდინეს თუმცა მათ ამ პოლიტიკურ თამაშში არ რუსეთი ჩამორჩა რომელმაც თავისი პოზიციები სამხრეთ კავკასიის რეგიონში კიდევ ურო გაიმყარა.

2.1. ტრანსრეგიონული ეკონომიკური ურთიერთობების გახსნა და მისი განვითარების პერსპექტივები

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში უდიდესი როლი ენიჭება ეკონომიკის კომპონენტს და სულ უფრო აქტუალური ხდება მისი როლი საერთაოშიროს პოლიტიკის წარმოებისას. სამხრეთ კავკასიის რეგიონი გამოირჩევა სტრატეგიული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდებარეობით. სადაც სხვადასხვა გეოპოლიტიკური მოთამაშის როლი ღიად იკვეთება და მათ სურთ საკუთარი გავლენის გაზრდა ამ რეგიონში და მსხვილი ეკონომიკური პროექტების განხორციელება. მაგრამ ეკონომიკის განვითარებას სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტები აფერხებს. მაშინ როდესაც აუცილებელია ეკონომიკური მსხვილი პროექტების განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს მშიდობიანი გარემოს ჩამოყალიბების პროცესს, მათ შორის სტაბილურობის შენარჩუნებას, რომლის მიღწევაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საკითხს.

ყარაბაღის კონფლიქტი რომელიც 80-იანი წლების დასაწყისში დაიწყო და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წელს სრულ ომში გადაიზარდა. რომელიც 1994 წელს სომეხთა და აზერბაჯანელთა გადასახლების შედეგად ცეცხლის შეწყვეტიტ დასრულდა. 2020 წლამდე ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება მრავალჯერ დაირღვა. 1990-იან წლებში სომხეთსა და აზრბაიჯანს შორის დაპირისპირების შემდეგ შეწყდა მათ შორის ეკონომიკური კავშირი. მას შემდეგ სადახლოში რომელიც ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობით არის დასახლებული გახდა რეგიონალური ვაჭრობის მნიშვნელოვანი წერტილი. იმ პერიოდში თურქეთმაც სომხეთ გამოუცხადა ბლოკადა და ჩაკეტა მასთან საზღვრები.

მას შემდეგ იყო სხვადასხვა მცდელობა ურთიერთობების ნორმალიზების და საზღვრის გახნის. 2009 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც მიზნად

ისახავდა თურქეთსა და სომხეთს შორის კავშირების აღდგენას და მათი საერთო საზღვრის გახსნას. თუმცა 2018 წელს გარიგება ჩაიშალა და აღარ განხორციელებულა.

დავების შედეგად, სომხეთს მხოლოდ ორი ხმელეთის გზა რჩება იმპორტისა და ექსპორტისთვის - საქართველოდან ჩრდილოეთით და ირანის გავლით სამხრეთით.

ამასობაში, შემუშავებულ იქნა ბაქო თურქეთის დამაკავშირებელი სატრანზიტო მარშრუტები რომელიც გვერდს აუვლის სომხეთს. ამასთანავე საქართველომ ჩერთო სხვადასვა მნიშვნელოვა პროექტებში, როგორიცაა ჩინეთის ერთი სარტყელი ერთი გზის და ტრანსანატოლიის გაზსადენის პროექტები.

„მეთიუ ბრაიზა, ამერიკის ყოფილი ელჩი აზერბაიჯანში, რომელიც ათზე მეტი წლის წინ ყარაბაღის კონფლიქტში შუამავლის როლს ასრულებდა, როგორც ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე აშშ-დან, ამბობს, რომ ნოემბრის სამშვიდობო შეთანხმებას აქვს იმის პოტენციალი, რომ ბიძგი მისცეს ეკონომიკურ ზრდას კავკასიაში.“[14] ბრაიზას განცხადებით ხელშეკრულების დადებას შეიძლება მოყვეს არამარტო ურთიერთობების დასტაბილურება არამედ ეკონომიკური კავშირების განვითარება, მისი თქმით ამ პროცესმა შეიძლება მნიშვნელოვანი კატალიზატორის როლი შეასრულოს და ხელი შეუწყოს დიპლომატიური ურთიერთობების განვითარებას მთელს რეგიონში.

11 იანვარს სომხეთის პრემიერ-მინისტრი, ნიკოლ ფაშინიანი, და აზერბაიჯანის პრეზიდენტი, ილჰამ ალიევი, შეხვდნენ ვლადიმირ პუტინს მოსკოვში იმ დეტალების განსახილველად, რომლებიც რუსეთის შუამავლობით დადებული შეთანხმებით გადაუწყვეტელი დარჩა - მათ შორის ის, თუ როგორ უნდა აღდგეს სარკინიგზო, საგზაო და საკომუნიკაციო კავშირები.[15]

მათ მიერ გამოცხადებული ერთ-ერთი პროექტი იყო საბჭოთა კავშირის დროინდელი სარკინიგზო ხაზის აღდგენა, რომელიც ერევანს რუსეთთან

---

[14] სინოვიცი რ., ბადალიანი ს., ,,შიში და სიძულვილი ვაჭრობისა და კეთილდღეობის წინააღმდეგ სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე“, თებერვალი 05, 2021. გვ1. https://www.radiotavisupleba.ge/a/31087978.html (ბოლო ნახვა - 12.06.2021)

[15] იქვე. გვ.1.

აკავშირებდა, ნახიჭევანს აზერბაიჯანის ანკლავის გავლით, შემდეგ ისევ სომხეთის სამხრეთი ნაწილს და აზერბაიჯანთან. აღნიშნული მარშუტის უკეთ გსაანალიზებლათ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი რუკა #1.

რუკა #1.

*აღნიშნული რუკა აღებულია რადიო თავისუფლების სტატიიდან: ,,Армяно-азербайджанская граница: торговля через опасения и враждебность“[16]

მოცემული პროექტით აზერბაიჯანს ასევე შეუძლია დაუკავშირდეს თურქეთს ნახჭევანის გავლით პირდაპირი სარკინიგზო მარშრუტით, რაც მისთვის საკმაოდ მისაღები უნდა იყოს ტვირთბრუნვის მოცულობის გაზრდის თვალთსაზრისით და გარკვეულწილად უსაფრთხო ტრანსპორტირებისათვის.

[16] СИНОВИЦ Р., БАДАЛЯН С., ТАМРАЗЯН Г., ,,Армяно-азербайджанская граница: торговля через опасения и враждебность“, 9 февраля 2021. Ст.1. (ბოლო ნახვა - 14.06.2021)

ამ პროცესის ფარგლებში უკვე გამოჩნდა ახალი დაინტერესებული მხარეც ირანის სახით. რომლის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამედ ჯავად ზარიფმა განაცხადა, რომ ქვეყანას ასევე სურს სარკინიგზო კავშირის დამყარება სომხეთთან, ნახიჭევანის გავლით. სადაც ჩვენ ვხედავთ ახალ ეკონომიკური განზომილების განვიტაების მიმართულებას რომლის სრულად განხორციელებამდე ბევრი დროც არაა დარჩენილი.

აღსანიშნავია ასევე, რომ 11 იანვარს ლიდერებმა მოილაპარაკეს სამუშოა ჯგუფის შეხვედრის შესახებ რომელიც უნდა დაიგეგმოს 2021 წლის 30 იანვრამდე, რომლის ფარგლებში უნდა მოხდეს მე-9 პუნქტთან დაკავშირებით პრირორიტეტების განსაზღვრა და სამოქმედო გეგმის თუ როგორ უნდა მოხდეს ამ პროექტების რეალიზება.

რაც თვითონ ამ შეთანხმებას და მის განხორციელებას შეიძლება მრავალი პრობლემა და გამოწვევა შეექმნას, თუმცა ლიდერების სერიოზული დამოკიდებულება მიანიშნებს მისი შესრულების მზადყოფნაზე. რაც შეეხება საქართველოს „იმას, თუ რა გავლენა ექნება საქართველოზე, პირველ რიგში, ეს არ არის რამდენიმე დღეში შესრულებადი საქმე, ამას დასჭირდება წლები. კი, შესაძლოა, საქართველომ ახლო პერსპექტივაში ზარალი მიიღო, მაგრამ თუ რეგიონში მთლიანობაში მდგომარეობა გაუმჯობესდება, ამით ყველა ისარგებლებს“[17]. შესაბამისადაც საქართელომაც უნდა შეაფასოს მოსალოდნელი რისკები რაც შეიძლება მის ეკონომიკას მიადგეს და მათ შორის პოლიტიკუს კომპონენტსაც.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს დიდი ხანია სჯეროდათ და დარწმუნებილები არიან, რომ ომის შემდგომი კონფლიქტის დარეგულირების და რეკონსტრუქციის პროცესის წახალისების მიმართულებით, ასევე მშვიდობისა და სტაბილურობის კონსოლიდაციის მისაღწევად საუკეთესო გზა არის ყოფილ მოწინააღმდეგეებს შორის ეკონომიკური კავშირების დამყარება. მსოფლიო ბანკის განცხადებით, ეს უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ ეროვნული მთავრობების პოლიტიკის ფარგლებში, არამედ პირველ რიგში სავაჭრო კავშირების დამყარება

[17] მენაღარიშვილი ზ., „რა გავლენას მოახდენს საქართველოზე რუსეთ-აზერბაიჯან-სომხეთის შეთანხმება“, netgazeti, 14.01.2021. გვ1. https://netgazeti.ge/news/511785/ (ბოლო ნახვა - 14.06.2021)

და გაუმჯობესება უნდა მოხდეს, დაპირისპირებულ მხარეებს შორის რომლებიც საზღვრის ორივე მხარეს ცხოვრობენ, კონკრეტულად ადგილობრივ თემებს შორის თანამშრომლობის დამყარების და განვითარების გზით.

ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ თავიდან იქნას აცილებული ავსტრია-უნგრეთის იმპერიის მემკვიდრე სახელმწიფოების მიერ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაშვებული შეცდომების გამეორება ფაქტი, რომელიც იქნა დაშვებული მაშინ და მოყვა რეგიონალური ვაჭრობის ნგრევა. აღნიშნული რეგიონალური მიდგომა ტრანსსასაზღვრო კავშირების გაუმჯობესების მიზნით გამოიყენებოდა მარშალის გეგმის შესაბამისად დასავლეთ ევროპის რეკონსტრუქციის და აღსადგენად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. კერძოდ, საფრანგეთ-გერმანიის საზღვართან, ელზას-ლოტარინგიაში, რომელიც სადავო რეგიონი იყო, რომელიც თავისი ისტორიის განმავლობალი ხელიდან ხელში გადადიოდა. ამ მოდელის გამოყენება მოხდა, ასევე ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შემდეგ 1990-იან წლებში ბალკანეთის რეკონსტრუქციისათვის. ამასთან, ყოფილ მეომარ სახელმწიფოებს შორის ეჭვი და მტრობა. მთავრობის მიერ დაფინანსების პროცესს და მხარდაჭერას აფერხებს. დღეისათვის პრობლემური საკითხია სასაზღვრო რაიონებში ერთობლივი ეფექტური პროექტების არარსებობა, სასაზღვრო რეგიონში არ არის ინფრასტრუქტურა, რაც ვაჭრობას და ტრანსპორტის სწრაფად გადაადგილებას უშლის ხელს.

სხვადასხვა ექსპერტის გადმოსახედიდან მათშორის დე ვაალის სომხეთის შეიარარებული ძალების გასვლის მერე მთიანი ყარაბაღის შვიდი რაიონიდან უნდა გამხდარიყო ხელისშემწყობი ფაქტორი თურქეთსა და სომხეთს შორის საზღცრის გახსნის და ეკონომიკური უთიერთობების განვიათრების, რაც მისი აზრით სომხეთის მხრიდან იქნებოდა პრაქგმატული ნაბიჯი. თუმცა ნათელია, რომ მას მერე რაც თურქეთი აზერბაიჯანს ომის პერიოდში დაეხმარა და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა, სომხეთმა გადადგას ეს ნაბიჯი ყოველ შემთხვევაში მანამ სანამ თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი იქნება.

მსოფლიო ბანკის კვლევის მონაცემების მიხედვით თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ბლოკადების მოხსნის შედეგად მოსალოდნელი შედგი

შემდეგნაირად არის განსაზღვრული, რომ პოტენციური სარგებელი მშვიდობიანი ეკონომიკური ტანამშრომლობისა განსაკუთრებით კარგი იქნებოდა სომხეთისთვის, რაც მისი ეკონომიკის სტიმულირების და გაზრდისთვის იქნებოდა მნიშვნელოვანი. თუ თურქეთსა და სომხეთს შორის ბლოკადა მოიხსნება და სავაჭრო დისბალანსი შემცირდება, ეს გამოიწვევს პოზიტიურ შედეგებს და ეფექტებს სომხეთისთვის. ამასთან, ერევნის მთავრობამ აღნიშნა, რომ შესაძლოა ის ჯერ კიდევ არ არის მზად თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის წარმოების მიამრთულებით. მათ შორის აღსანიშნავია, რომ ომის მიმდინარეობისას სომხეთში თურქული საქონლით ვაჭრობა აიკრძალა, თურქეთის მიერ აზერბაიჯანისთვის ღია მხარდაჭერის გამო. ამან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სომეხ ბიზნესმენებს და ვაჭრებს.

სომხეთი, როგორც რუსეთის ევრაზიული ეკონომიკური კავშირის (EAEU) წევრი ქვეყანა, მას აკრძალვის დაწესება შეუძლია მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში ცალმხრივად. მაგრამ აკრძალვა შეიძლება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელდეს.

ყარსის რეგიონში საზღვრის გახსნა სომხეთისთვის და თურქეთისთვის ეკონომიკურად იქნება მომგებიანი, მაგრამ აქვე უნდა ავღნიშნოთ წარსულის როლი იმ ურთიერთოების რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ამ ორ ქვეყანას შორის. მთვარი პრობლემური საკითხი უკვე გარდა ყარაბაღის კონფლიქტში თურქეთის მიერ აზერბაიჯანის მხარდაჭერისა, არის სომეხთა გენოციდის საკითხი და მათ შორის აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სომხური ეკლესია რომელსაც გარკვეული გავლენა გააჩნია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. არსებული პოლიტიკური ვითრებიდან გამომდინარე რომელიც პოსტ-კონფლიქტური პერიოდის მერე არის გამოკვეთილი ტრანსრეგიონული ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მიმართულებით გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ უახლოეს მომავალში ნაკლებად სავარაუდოა ეკონომიკური კავშირები დამყარება მარტივად. თუმცა თუ ამ პროცესში ატიურად ჩაერთვებიან რუსეთი, თურქეთი და მათ შორის ჩინეთი ეკონომიკური კავშირების განვითარების პერსპექტივები უფრო

გამოიკვეთება და შესაძლებელი იქნება კონკრეტული პროეტქბის განხორციელება. რაც თავის მხრივ ყველა მხარეს უნდა აწყობდეს პანდემიის პირობებში არსებული ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებით მთელ რიგ სახელმწიფოებში.

2.2 ახალი რეგონული უსაფრთხოების მოდელი კავკასიაში - „3+3“ ინიციატივა და მოსკოვის 2020 წლის ნოემბრის ხელშეკრულება

დაახლოებით რვა თვე გავიდა 2020 წლის 9 ნოემბრის ცეცხლის შეწყვეტიდან, რა დროსაც დასრულდა მთიანი ყარაბაღის მეორე ომი. კონფლიქტი, როგორც ზევით ავღნიშნეთ უკვე დიდი ხანია დაწყებულია, და სწორედ ამ მეორე ომის დაწყების მიზეზიც დაძაბულობის კულმინაცია იყო, რომელიც წლების განმავლობაში იზრდებოდა და მას უკვე მოჰყვა ორი მცირე შეტაკებები 2016 წლის აპრილში და მეორე 2020 წლის ივლისში. ომმა საკმაოდ სერიოზული ზიანი მიაყენა აზერბაიჯანელ და სომეხ მშვიდობიან მოსახლეობას. უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ბევრი მებრძოლის სიცოცხლე შეიწირა.

2020 წლის 9 ნოემბრის საღამოს მოსკოვში ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, რუსეთის ფედერაციის ფასილიტაციით, მაგრამ ამასთან დაკავშირებით თურქეთიც ინფორმირებული იყო. სამი ხელმომწერი იყო რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, სომხეთის პრემიერ მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო შეიარაღებული საბრძოლო მოქმედებების დაუყოვნებლივი შეჩერება არსებული კონტაქტის ხაზის გასწვრივ. ამან ხელი შეუშალა გადარჩენილი სომხური ძალების სრულ განადგურებას, რომელთაც საკმაოდ დიდი დანაკარგები ჰქონდათ.[18]

[18] András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement“, 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

ცეცხლის შეწყვეტის ბრძანებით, მთიანი ყარაბაღის მიმდებარე სომხების მიერ ოკუპირებული სამი ოლქის დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებოდა აზერბაიჯანს, რომლებიც ჯერ არ იყო დაკავებული აზერბაიჯანის ძალების მიერ ომის დროს. ამავდროულად, ყოფილი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის (NKAO) ტერიტორიის დაახლოებით 70% რჩებოდა სომხეთის კონტროლის ქვეშ, რადგან დანარჩენი ნაწილი აზერბაიჯანელმა სამხედროებმა 9 ნოემბრისთვის უკვე აიღეს.[19]

სომხეთის ყველა შეიარაღებული ძალა ვალდებული იყო დაეტოვებინა მთიანი ყარაბაღის ტერიტორია და უნდა განლაგებულიყო რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი ცეცხლის შეწყვეტის და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. რუსი სამშვიდობოები ახლა უზრუნველყოფენ არა მხოლოდ მთიანი ყარაბაღის იმ ნაწილების უსაფრთხოებას, რომლებიც კვლავ კონტროლდება სომხეთის მიერ, არამედ ლაჩინის/ბერძორის დერეფანისაც, რომელიც, სავარაუდოდ, რჩება ერთადერთ, მუდმივად ღია სახმელეთო კავშირად მთიან ყარაბაღსა და სომხეთს შორის. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს სახმელეთო დერეფნის შექმნას დასავლეთ აზერბაიჯანსა და ნახიჩევანის ექსკლავს შორის სომხეთის ტერიტორიაზე. ნახიჩევანის დერეფანი ექვემდებარება რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის (FSB) სასაზღვრო დაცვის სამსახურის კონტროლს.

ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტერიტორიული დასახლების სტაბილურობა წარმოადგენს მიღწეული შეთანხმების საერთო მდგრადობის მნიშვნელოვან ცვლადს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო საომარი მოქმედებების შეწყვეტა 2020 წლის 9 ნოემბრის ტერიტორიული სტატუს კვო-ს საფუძველზე, 2020 წლის 10 ნოემბრის შუაღამიდან. ამან თავდაპირველად რამდენიმე უკიდურესად არასტაბილური სიტუაცია გამოიწვია ფრონტის ხაზის გასწვრივ, რადგან ცეცხლის შეწყვეტა დაუყოვნებლივ ამოქმედდა, ტაქტიკური სიტუაცია ადგილზე შეჩერდა,

[19] András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement“, 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

განურჩევლად გეოგრაფიული, სოციალური, ინფრასტრუქტურული თუ სხვა პირობებისა.

კონტაქტის ხაზის ხშირად თვითნებურმა მდებარეობამ (ხშირად გზების და სხვა ინფრასტრუქტურის ორად გაყოფა) შეიძლება მომავალში გამოიწვიოს რამდენიმე პრობლემა, განსაკუთრებით კონფლიქტის შემდგომი რეკონსტრუქციისა და ეკონომიკის აღდგენასთან დაკავშირებით. მთიანი ყარაბაღის შვიდი ოკუპირებული ოლქის აზერბაიჯანის კონტროლის ქვეშ დაბრუნება სირთულეებს ქმნის აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის უკვე აღდგენილ ძველი საზღვარზე, რადგან საზღვარი არა მხოლოდ გზებს, არამედ ზოგიერთ სოფელს კვეთს.[20]

განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხი იყო ისტორიული ქალაქი შუშა/შუში საკითხი, რომელიც აზერბაიჯანის ძალებმა დაიპყრეს ომის ბოლო დღეებში. იმავდროულად, სომხეთის კონტროლის ქვეშ დარჩა მთიანი ყარაბაღის დედაქალაქი ხანკენდი/სტეპანაკერტი, რომელიც მდებარეობს შუშადან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით. ამ ორი ქალაქის მდგომარეობა, რომლებიც ახლა კონტაქტის ხაზის სხვადასხვა მხარეს მდებარეობს, შეიძლება მომავალში დაძაბულობის საგანი გახდეს, რადგან მათი სიახლოვე წარმოადგენს მოწყვლადობას საარტილერიო ცეცხლის გახსნისა და დაბომბვისადმი. გარდა ამისა, ლაჩინის დერეფნის ერთი მონაკვეთი გადის შუშაზე. გათვალისწინებულია, რომ აშენდება ახალი შემოვლითი გზა, რაც გვერდს აუვლის აზერბაიჯანის ქალაქს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება პირდაპირი სახმელეთო კავშირი მთიან ყარაბაღსა და სომხეთს შორის.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებამ დაადგინა, რომ სომხურმა ძალებმა აზერბაიჯანს უნდა დაუბრუნონ ყველა ის რაიონი, რომლებიც ჯერ კიდევ სომხეთის კონტროლს ექვემდებარებოდა 9 ნოემბერს, კერძოდ კალბაჯარის/კარვაჩარის და ლაჩინის ბერძორის რეგიონების უმეტესი ნაწილი,

[20] András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement“, 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

აგრეთვე აღდამის/აღდამის რეგიონის დასავლეთ ნაწილები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიების გადაცემის თავდაპირველი ვადები არარეალურად მოკლე იყო, 1-ლი დეკემბრისთვის სამივე რეგიონი მიტოვებული იყო სომხეთის სამხედრო ნაწილებისა და სამოქალაქო მოსახლეობის მიერ. ზოგ ადგილებში გაქცეულმა სომეხმა მშვიდობიანმა მოსახლეობამ საკუთა სახლებს ცეცხლი წაუკიდა, რათა აზერბაიჯანის ხელში არ მოხვედრილიყვნენ, რაც მიანიშნებს სიძულვილის სიღრმეზე და იმაზე, თუ რამდენად რთული იქნება მომავალში ორ ერს შორის კავშირების დამყარება.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების კიდევ ერთი პრობლემატური ასპექტი იყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის ჯარები ვალდებულნი იყვნენ დაეტოვებინათ ყარაბაღი, ეს სრულად არ მომხდარა 2021 წლის იანვრის ბოლოსთვისაც კი. სინამდვილეში, შეთანხმება საკმაოდ ბუნდოვანი იყო ამ გაყვანის ზუსტ პარამეტრებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ბაქო განმარტავს ამ მოთხოვნას, როგორც სომხეთის ყველა სამხედრო ძალების გაყვანის საჭიროებას, ერევნისა და ყარაბაღის დე ფაქტო ხელმძღვანელობის თანახმად, ეს ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ სომხეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებზე, ხოლო თვითგამოცხადებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის შეიარაღებული ფორმირებები შეიძლება დარჩეს. ჯერჯერობით რუსული სამშვიდობო კონტინგენტი მეორე ინტერპრეტაციის მომხრეა, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის შეიარაღებული ფორმირებების არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს დესტაბილიზაცია. არაერთი შეტაკება მოხდა დარჩენილ სეპარატისტულ ქვედანაყოფებსა და აზერბაიჯანელ სამხედროებს შორის.[21]

ყველაზე სერიოზული, თუმცა მაინც ტაქტიკური დონის ინციდენტი მოხდა 11 დეკემბერს, როდესაც დაახლოებით ასი სომეხი მებრძოლი თავს დაესხა აზერბაიჯანელ ჯარისკაცებს სოფელ ჩაილაგალაში/ ხწაბერდში და კოჰნა თაღლარში/ჰინ თაღერში. ორივე სოფელი მდებარეობს ხოჯავენდის რაიონში

[21] András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement", 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

და ცეცხლის შეწყვეტის დროს კვლავ იმყოფებოდა სომხების კონტროლის ქვეშ, თუმცა უკვე აზერბაიჯანული ძალებით იყო გარშემორტყმული.

საბრძოლო მოქმედებები საბოლოოდ დაასრულა შემომავალმა რუსმა სამშვიდობოებმა, რომლებმაც დროებით აიღეს კონტროლი ორივე სოფელზე, სანამ დასახლებებს აზერბაიჯანის ძალებს გადასცემდნენ. რუსი სამშვიდობოები ჩაერივნენ მიუხედავად იმისა, რომ ორივე სოფელი მათთვის მინიჭებული სამანდატო ტერიტორიის გარეთ იყო. ამ ეპიზოდმა აჩვენა, რომ სანამ სომხეთის შეიარაღებული ფორმირებები სრულად არ შეასრულებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას და აქტიურად რჩება ამ რეგიონში, არსებობს ასეთი ძალადობრივი ინციდენტების განმეორების რისკი.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სისუსტე ის არის, რომ არ არსებობს მასზე მიბმული რაიმე პოლიტიკური შეთანხმება. ომის დროს და მის შემდეგ მოლაპარაკებები შეეხო სამხედრო-ტექნიკურ დეტალებს საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ, მათ შორის პატიმართა გაცვლას, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვასა და ცეცხლის შეწყვეტის სათანადო განხორციელების უზრუნველყოფას. ამავდროულად, არანაირი შედეგი არ იქნა მიღწეული მთიანი ყარაბაღის ჯერ კიდევ სომხების მიერ კონტროლირებადი ნაწილების პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდის განმავლობაში, სომხური მხარე შეეცადა დარწმუნებულიყო, რომ აზერბაიჯანი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის რეგიონს დაპირდებოდა გარკვეული ფორმით ავტონომიის მინიჭებას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განიხილა მთიანი ყარაბაღის ეთნიკური სომხებისთვის კულტურული ავტონომიის მინიჭების შესაძლებლობა, საბოლოოდ ასეთი ვალდებულება არ იქნა აღებული.[22]

[22] András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement“, 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

ომის დასრულების შემდეგ აზერბაიჯანის ოფიციალური პოზიცია თანმიმდევრული და ხისტი იყო: ყველა კვლავ სომხეთის მიერ კონტროლირებადი რეგიონი აზერბაიჯანის ტერიტორიების განუყოფელი ნაწილია, ამიტომ ბაქო არ არის დაინტერესებული სომხური მოსახლეობისთვის კულტურული ან სხვა სახის ავტონომიის მინიჭებით. ეს ყარაბაღში მცხოვრებს სომეხებს სხვა რეალისტურ საშუალებას არ უტოვებს, როგორც პოლიტიკური, ასევე ეგზისტენციალური თვალსაზრისით, გარდა იმისა, რომ დაეყრდნონ რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის მიერ უზრუნველყოფილ უსაფრთხოებას.

იმის გამო, რომ სომხურმა ძალებმა ომში გამანადგურებელი მარცხი განიცადეს, ყარაბაღის პერსპექტივიდან, საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ, მხოლოდ რუსული ჯარების ყოფნა მთიან ყარაბაღსა და მის გარშემო აფერხებს აზერბაიჯანს ყველა თავისი ტერიტორიის დაბრუნებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბაქოს მხრიდან საერთაშორისო მხარდაჭერილი სამართლებრივი გარანტიების არარსებობის შემთხვევაში, რუსული სამშვიდობო ძალების არსებობა ერთადერთი გარანტიაა, რომელსაც ყარაბაღში მცხოვრები სომხები შეიძლება დაეყრდნონ თავიანთი ფაქტობრივი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და აზერბაიჯანისგან გამოყოფის საკითხში. ამან ასევე გამოიწვია ყარაბაღის ხელმძღვანელობის უფრო მეტად მიდრეკილება მოსკოვისკენ.[23]

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების თანახმად, სომხური ძალები ვალდებულნი იყვნენ დაეტოვებინათ მთიანი ყარაბაღი და ისინი ჩაანაცვლა რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტმა. რუსი სამშვიდობოების პირველი შენაერთები სომხეთში უკვე ნოემბრის დასაწყისში ჩავიდა საჰაერო ხომალდით საქართველოს გავლით (პირველი ასეთი ოპერაცია 2008 წლის ომის შემდეგ), ამიტომ მათ აზერბაიჯანში გადასვლა უკვე 10 ნოემბერს შეძლეს. ამის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ რუსეთი სამშვიდობოების განთავსებას საბრძოლო

[23] András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement", 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

მოქმედებების დასაწყისიდანვე აპირებდა და საკითხი უკვე დღის წესრიგში იდგა 2020 წლის 9-10 ოქტომბრის პირველ, წარუმატებელ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებების დროს. უკეთ არესებული პოლიტიკური შეთანხმების აღსაქმელად შეგიძლიათ იხილოთ რუკა#2.

რუკა #2.



წყარო: ახალი ამბების სააგენტო Pia.ge ,,სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი - უახლესი ამბები"[24]

[24] სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი - უახლესი ამბები, ახალი ამბების სააგენტო Pia.ge, გვ.1. https://pia.ge/ka/news/konfliktebi/somkhet-azerbaijanis-konphlikti---uakhlesi-ambebi (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

საბოლოოდ, რუსეთმა მოახერხა მესამე ცეცხლის შეწყვეტის დროს განლაგების განხორციელება. რამოდენიმე მიზეზის გამო, რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი არ შეიძლება ჩაითვალოს ტრადიციულ სამშვიდობო ოპერაციად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ან ეუთოს ლოგიკის შესაბამისად. უპირველეს ყოვლისა, მისიას არ აქვს გაეროსა და ეუთოს მანდატი, მიუხედავად იმისა, რომ ეუთოს მინსკის ჯგუფი პასუხისმგებელი უნდა იყოს კონფლიქტის მოგვარებაზე. ამის ნაცვლად, რუსულ მისიას აქვს ნებართვა მხოლოდ 9 ნოემბრის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დეკლარაციის სამი ხელმომწერი მხარისგან. მეორე, გაეროს სამშვიდობო პრინციპების თანახმად, მხარეებმა უნდა აიღონ ვალდებულებები პოლიტიკური პროცესისთვისაც, არცერთი მსგავსი პოლიტიკური პროცესი არ არსებობს. ეს სამშვიდობო ოპერაცია არ არის გამიზნული რაიმე სახის პოლიტიკური პროცესის მოგვარების ხელშესაწყობად; მისი ერთადერთი ოფიციალურად განსაზღვრული მისიაა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მონიტორინგი.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, რუსი სამშვიდობოები თავდაპირველად უნდა დარჩნენ მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანის ტერიტორიებზე ხუთი წლის განმავლობაში. ეს პირველი მანდატი ავტომატურად გაგრძელდება კიდევ ხუთი წლით, თუ რომელიმე ხელმომწერი მხარე არ გააპროტესტებს ამ ვადას მიმდინარე პერიოდის ამოწურვამდე ექვსი თვით ადრე. ამ ვადებმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქმნის სტაბილურ პირობებს პირველი ხუთი წლის განმავლობაში, შეიძლება გამოიწვიოს არასტაბილურობა გრძელვადიან პერსპექტივაში. მიზეზი ის არის, რომ ამ წყობით აზერბაიჯანს შესაძლებლობა ეძლევა გააპროტესტოს რუსული სამშვიდობო მისიის გაგრძელება 2025 წლის ნოემბრის შემდეგ, 2025 წლის გაზაფხულზე. მას შემდეგ რაც ეს მოხდება და რუსული ჯარები ტერიტორიებიდან გავლენ, აზერბაიჯანული ძალები შეძლებენ შედარებით ადვილად გადაადგილდნენ, რადგან სომხეთის შეიარაღებულ ძალებს რეგიონის დატოვება უკვე 2020 წლის ნოემბრის შემდეგ მოუწიათ. ამიტომ, მისი განხორციელების შემთხვევაში,

მოქმედი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება აზერბაიჯანს საშუალებას აძლევს 2025 წლის ნოემბრიდან დაასრულოს თავისი ტერიტორიის გაერთიანება შედარებით მარტივად.

გარდა ამისა, გაეროს ან ეუთოს ტრადიციული ოპერაციებისგან განსხვავებით, რუსულ კონტინგენტს არ გააჩნია ზუსტი, საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი მანდატი. რამდენადაც შესაძლებელია მისი მიღება ღია წყაროებიდან, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მესამე და მეოთხე პუნქტები ერთადერთი სამართლებრივი რეგულაციაა, რომელზეც აზერბაიჯანი და სომხეთი შეთანხმდნენ რუსი სამშვიდობოების შესახებ, მაგრამ ეს არ განსაზღვრავს მისიის ზუსტ მანდატს და არც მის ზუსტ ამოცანებს, პასუხისმგებლობას ან ჩართულობის წესებს. ასევე, ისინი არ განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა უზრუნველყონ მისიის ანგარიშვალდებულება, მათ შორის, სამშვიდობო ძალების მხრიდან მიუკერძოებლობის დაცვა, ან როგორ მოხდება ანგარიშვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მათი სანქცირება.[25]

სინამდვილეში, 2021 წლის მარტის ბოლოდან, დაპირისპირებული მხარეების მიერ შეთანხმებული ერთადერთი რეგულაცია რუსული სამშვიდობო ოპერაციის შესახებ არის ტექსტის რამდენიმე მოკლე სტრიქონი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა დასახა სამშვიდობო მისიის მრავალი მნიშვნელოვანი ამოცანა 20 ნოემბერს, მათ შორის ლტოლვილთა და დევნილთა დახმარების საჭიროება, ინფრასტრუქტურის აღდგენა და რელიგიური ადგილების დაცვა, ეს მითითებები არ წარმოადგენს საერთაშორისოდ შეთანხმებულ მანდატს. ნაცვლად ამისა, რუსეთის ფედერაცია ასრულებს ფართო სახის სამშვიდობო და ჰუმანიტარულ დავალებებს მთიანი ყარაბაღის

[25] András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement“, 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

ტერიტორიაზე დიდი ხარისხის ავტონომიით, ისე, რომ არც ერთი მებრძოლი მხარის მიერ არ აქვს მინიჭებული მკაფიო მანდატი.

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთსა და რუსეთს უკვე აქვთ მოქმედი შეთანხმება სამშვიდობო ოპერაციის ზუსტი მოვალეობების შესახებ, ამ დროისთვის რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის შესაბამისი დოკუმენტი ხელმოწერილი არ არის. სხვადასხვა აზერბაიჯანელი პოლიტიკოსი განსაკუთრებული სიმწვავით აკრიტიკებდა რუსი სამშვიდობოების ქმედებებს, ჩაილაგგალაში მომხდარი ინციდენტის და რუსი ჯარისკაცების აზერბაიჯანის მიერ კონტროლირებად რეგიონში შეჭრის შემდეგ. ის ფაქტი, რომ რუსი სამშვიდობოები ინარჩუნებენ კონტაქტს მთიანი ყარაბაღის დე ფაქტო ხელისუფლებასთან, აზერბაიჯანის პოლიტიკური შეშფოთების დამატებითი წყაროა, თუმცა ოპერატიული თვალსაზრისით, ასეთი კონტაქტები აუცილებელია.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი გამორიცხეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებიდან, 2021 წლის იანვარში შეიქმნა რუსეთ-თურქეთის ერთობლივი ცენტრი ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგისთვის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში. რუსეთი და თურქეთი შეთანხმდნენ ამ ცენტრის დაარსებაზე 2020 წლის 11 ნოემბერს და მან ფუნქციონირება დაიწყო 2021 წლის 30 იანვარს. თუმცა, ცენტრი სავარაუდოდ ვერ შეძლებს უზრუნველყოს ზემოთ აღწერილი ანგარიშვალდებულების პრობლემის სრული გადაწყვეტა.[26]

უპირველეს ყოვლისა, მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმომწერები არიან სომხეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი, თურქეთ-რუსეთის ერთობლივი ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგის ცენტრი უფლებამოსილია მხოლოდ ორი ხელმომწერის, აზერბაიჯანისა და რუსეთის მიერ. სომხეთმა ამაზე თანხმობა არ მისცა და ის არც რაიმე ფორმით არის წარმოდგენილი ამ სტრუქტურაში, თუმცა ცენტრს პირდაპირი კომუნიკაციის

[26] András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement“, 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

ხაზები აქვს კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარის სამხედროებთან. კიდევ უფრო დიდ კითხვის ნიშანს ბადებს ის, თუ როგორ აპირებს თურქეთი ამ ცენტრის მეშვეობით ეფექტური ზედამხედველობის განხორციელებას.[27]

გაურკვეველია სამართლებრივი საფუძველი: მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგის ცენტრის ნაწილია, ის არ არის თავდაპირველი შეთანხმების ხელმომწერი. ამრიგად, საეჭვოა, რამდენად შეძლებს თურქეთი გასცდეს ცეცხლის შეწყვეტის პასიურ მონიტორინგს და რეალურად უზრუნველყოს მისი განხორციელება. ცენტრი ფუნქციონირებს პარიტეტულ საფუძველზე, დაკომპლექტებულია 60-მდე ჯარისკაცით ორივე მხრიდან, და ორივე მხარის დელეგატი გენერლები ხელმძღვანელობენ ცენტრს: რუსეთს წარმოადგენს გენერალ-მაიორი ვიქტორ ფედორენკო, ხოლო თურქეთს გენერალ-მაიორი აბდულაჰ კატირკი. მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის ცენტრის შესახებ შეთანხმების ტექსტი საჯაროდ არ გამოქვეყნებულა, თანასწორობის პრინციპი დემონსტრირებულია პერსონალის შემადგენლობით და რომელსაც ხშირად ხაზს უსვამენ თურქეთის და რუსეთის პოლიტიკური ლიდერები, რაც მიანიშნებს, რომ იგივე პრინციპი ვრცელდება გადაწყვეტილებების მიღების პროცესზეც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ მხარეს შეეძლება მეორეზე დომინირება და სუსტი მხარის პოზიცია აშკარად მიუღებელი იქნებოდა ანკარასა და მოსკოვისთვის. თუ გადაწყვეტილების მიღება მართლაც კონსენსუსზეა დაფუძნებული, ეს სრულებითაც არ ნიშნავს მონიტორინგის მექანიზმის ეფექტურობას, თურქეთსა და რუსეთს შორის საკითხთან დაკავშირებული დავის წარმოშობამ შესაძლოა მოიცვას რუსული სამშვიდობოების ქმედებებიც.

პოსტსაბჭოთა რეგიონის "გაყინულ კონფლიქტებში" ხშირად ჩანს, რომ რუსეთი მზადაა გამოიყენოს კონსენსუსის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურები ნებისმიერი გადაწყვეტილების დაბლოკვით, ამით იგი

[27] András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement“, 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

ცდილობს კონფლიქტის ეფექტურად გახანგრძლივებას და არა მისი მოგვარებას. ასეთ სიტუაციებს რამდენჯერმე ჰქონდათ ადგილი, როდესაც რუსი სამშვიდობოები განლაგდნენ მოლდოვასა და საქართველოში, დნესტრისპირეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში. ამრიგად, თუ რუსეთ-თურქეთის ერთობლივი ცენტრის გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი კონსენსუსზე დაფუძნებული იქნება, თურქეთი შეიძლება აღმოჩნდეს მოლდოვისა და საქართველოს ხელმძღვანელობის მსგავსი გამოწვევების წინაშე, როდესაც შეეცდება გააძლიეროს რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის შესაბამისობა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებასთან. თუ მომავალში ჩაილაგგალაში მომხდარი ინციდენტის მსგავსი მოხდება, ეს მნიშვნელოვანი გამოცდა იქნება რუსულ-თურქული მონიტორინგის ცენტრის რეალური ეფექტურობისთვის.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების თანახმად, რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი შედგება მაქსიმუმ 1,960 მცირედ შეიარაღებული პერსონალისგან, რომელსაც მხარს უჭერს 90 ჯავშანტრანსპორტიორი, აგრეთვე 380 სატვირთო და სხვა სატრანსპორტო საშუალება. თუმცა, ოპერაციის დაწყებისთანავე უკვე აშკარა იყო, რომ რუსეთი განათავსებდა პერსონალის ბევრად უფრო ფართო რაოდენობას, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის გაცილებით მეტი მწყობრით, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ განაცხადა 2020 წლის 21 ნოემბერს, რომ უკვე დასრულდა სამშვიდობო კონტინგენტის განლაგება, მათ შორის სულ 552 სამხედრო და სხვა სატრანსპორტო საშუალება - თუმცა ეს უკანასკნელი აღემატება ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით ნებადართულ სატრანსპორტო საშუალებებს. აზერბაიჯანული წყაროების თანახმად, 2021 წლის იანვრისთვის რუსულ კონტინგენტში პერსონალის საერთო რაოდენობამ 5000 კაცს გადააჭარბა. ეს მოიცავს რამდენიმე "მრჩეველს", "მოხალისეს", სხვა "სპეციალისტს", საგანგებო სიტუაციების სამინისტროს პერსონალს, ასევე

სამხედრო პოლიციის დანაყოფებს, გენერალური პროკურატურის თანამშრომლებს, განაღმვით სპეციალისტებს და ბევრ სხვას.[28]

რუსმა სამშვიდობოებმა ასევე ააშენეს სამხედრო ყაზარმები, რომლებშიც გაცილებით მეტი ადამიანის განთავსება შეუძლიათ, ვიდრე დანიშნული კონტინგენტია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების თანახმად, რუსი სამშვიდობოები უნდა იყვნენ აღჭურვილნი მხოლოდ მცირე ზომის იარაღით (როგორც ეს მითითებულია დოკუმენტში: სა სტრელკოვიმი ორუჟიემი), სამშვიდობო კონტინგენტი განლაგებული იყო რამდენიმე BTR-80 და 82 ჯავშანტრანსპორტიორით, და დამონტაჟებული 14,5 მმ მძიმე ტყვიამფრქვევებით (BTR-80) და 30 მმ ავტომატური ქვემეხებით (BTR-82A). ეს იარაღი უკვე კვალიფიცირდება არა როგორც მცირე ზომის იარაღი, არამედ მსუბუქი იარაღი (ლეგკიე ვაარუჟენია), რომლის არსებობა არ არის ნებადართული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით.

საინტერესოა, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ თავად გამოაქვეყნა ფოტოგრაფიული მტკიცებულება რუსი სამშვიდობოების მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეიარაღებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შესახებ. სამშვიდობო კონტინგენტს მეთაურობს გამოცდილი, სამვარსკვლავიანი გენერალი, გენერალი რუსტამ მურადოვი, სამხრეთის სამხედრო ოლქის მეთაურის ყოფილი მოადგილე და უკრაინისა და სირიის ომების ვეტერანი. კონტინგენტში მსახურობს კიდევ ერთი რუსი გენერალი, გენერალ-მაიორი ანდრეი ვოლკოვი, რომელიც 2020 წლის ნოემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობდა ჰუმანიტარული რეაგირების უწყებათაშორის ცენტრს, რომელიც ვლადიმირ პუტინმა შექმნა 2020 წლის 13 ნოემბერს და მოქმედებს სტეპანაკერტში. ადგილზე სამი გენერლის არსებობა, ანუ მურადოვის, ვოლკოვისა და ზემოხსენებული ფედორენკოს, გარკვეულწილად სამშვიდობო კონტინგენტის ოფიციალური სიდიდის არაპროპორციულია, რაც მიუთითებს

[28] András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement", 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

იმაზე, რომ რუსეთს შეიძლება ჰქონდეს უფრო დიდი ამბიციები, ვიდრე მხოლოდ მოკლე, მცირე სამშვიდობო ოპერაციის ჩატარება.[29]

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შედეგად შექმნილი მდგომარეობის კიდევ ერთი სისუსტე ის არის, რომ იგი აძლევს რუსეთს აზერბაიჯანში სამხედრო ყოფნის ფაქტობრივი შესაძლებლობის შენარჩუნებას 2025 წელს ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის სამშვიდობო მისიის მანდატი ავტომატურად ვრცელდება ხუთი წლის შემდეგ კიდევ ხუთი წლის განმავლობაში, თუ ამას არ შეეწინააღმდეგება რომელიმე ხელმომწერი მხარე.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ სომხეთი წინააღმდეგი იყოს, იმის გათვალისწინებით, რომ რუსული კონტინგენტის არსებობა რჩება მთიანი ყარაბაღის იმ ნაწილების უსაფრთხოების გარანტად, რომლებიც ჯერ კიდევ სომხეთის მიერ კონტროლდება. იმავდროულად, ბაქომ შეიძლება გააპროტესტოს რუსეთის მისიის გახანგრძლივება, რადგან სამშვიდობო ძალების გამგზავრება აზერბაიჯანს გაუხსნის მთელი ტერიტორიის უკან დაბრუნების გზას. თუმცა, რა ვარიანტები ექნება აზერბაიჯანს, იმ შემთხვევაში თუ რუსი აზერბაიჯანში განლაგებული კონტინგენტი ხუთი წლის შემდეგ არ დატოვებს ტერიტორიას, მიუხედავად ბაქოს მოთხოვნისა? მიუხედავად იმისა, რომ ამ სცენარის ალბათობის შეფასება არ შედის მოცემული ნაშრომის მიზნებში, არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც ასეთი შედეგის ალბათობა მინიმუმ უნდა იქნას განხილული:

პირველი, ისტორიული გამოცდილება პოსტსაბჭოთა რეგიონში ცხადყოფს, რომ მას შემდეგ, რაც კონფლიქტის შემდეგ რუსი სამშვიდობოები

[29] András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement“, 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

განთავსდებიან ტერიტორიაზე, ისინი არ აპირებენ წასვლას. მათ არ დატოვეს მოლდოვა და არც საქართველოში ორი სეპარატისტული წარმონაქმნი.[30]

მეორე, გაუგებარია, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხუთი წლის შემდეგ გასვლის ვალდებულება ვრცელდება თუ არა სხვა რუსულ ნაწილებსა და ფორმირებზე, რომლებიც ოფიციალური სამშვიდობო კონტინგენტის გარდა, მთიან ყარაბაღში არიან განლაგებულნი.

მესამე, როგორც ეს ზემოთ არის ნაჩვენები, ზომის, შემადგენლობისა და შეიარაღების თვალსაზრისით მოსკოვი უკვე არღვევს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას. სინამდვილეში, ახალი ომის შემთხვევაში, ამ ძალებს, ალბათ, შეეძლებათ აზერბაიჯანული ძალების წინააღმდეგ ხაზის გატარება კონფლიქტის პირველ საათებში, გაძლიერებული ძალების მოსვლამდე; და ამრიგად, მათ შეუძლიათ ძირითადად გაიმეორონ ის, რაც რუსეთის სამშვიდობო ძალებმა გააკეთეს სამხრეთ ოსეთში 2008 წლის აგვისტოში.

მეოთხე, ასევე არ არის გამორიცხული "აფხაზეთიზაციის" სცენარის შესაძლებლობა, კერძოდ, მთიან ყარაბაღში მცხოვრები სომხების ფართომასშტაბიანი "პასპორტიზაციით" მოსკოვს შეეძლება გამოიწვიოს რეგიონში რუსეთის მოქალაქეების დაცვის საჭიროება და ამით შეინარჩუნოს თავისი ჯარები. შესაძლო აფხაზური სცენარის კიდევ ერთი მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ მთიანი ყარაბაღის ხელმძღვანელობა რუსულს სომხურის შემდეგ განიხილავს მეორე ოფიციალურ ენად.[31]

სამართებრივი თვალსაზრისით, აზერბაიჯანის მთავრობას ყოველთვის შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის, იქნება ეს აზერბაიჯანის სასამართლო, ანკლავის სუვერენიტეტთან დაკავშირებული აზერბაიჯანის სარჩელის საფუძველზე, თუ საერთაშორისო სასამართლო. თუმცა, რუსეთის

[30] András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement", 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)
[31] András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement", 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

კონსტიტუციაში 2020 წელს განხორციელებული ბოლოდროინდელი ცვლილებები ითვალისწინებს რუსეთის კანონის უზენაესობას საერთაშორისო სამართალზე, თუ საერთაშორისო ორგანოების გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება რუსეთის კონსტიტუციას. ამან შეიძლება მართლაც გაართულოს აზერბაიჯანის მცდელობა, სამართლებრივად განახორციელოს რუსული კონტინგენტის გასვლა მისი ტერიტორიიდან. არც სამხედრო ძალა გვთავაზობს გამოსავალს.

განსაკუთრებით საქართველოში 2008 წლის ომის შემდეგ აშკარაა, რომ რუსეთი მზად არის გამოიყენოს ნებისმიერი შეტევა მშვიდობისმყოფელებზე, როგორც casus belli (ომის გამამართლებელი ქმედება). ნაკლებად სავარაუდოა, რომ აზერბაიჯანი მზად იქნება ან სურვილი ექნება რუსეთთან სრულმასშტაბიანი ომისთვის, მთიანი ყარაბაღის იმ ნაწილების გამო, რომლებიც ჯერ კიდევ სომხების კონტროლს ექვემდებარება, თუკი რუსეთის სამხედროები გადაწყვეტენ არ დატოვონ ტერიტორა. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად თურქულმა სამხედრო დახმარებამ შეიძლება შეცვალოს ეს მოცემულობა, საეჭვოა, რეალობაში განახორციელებს თუ არა ანკარა პირდაპირ შეტევას რუსეთის რეგულარულ ძალებზე. ასეთმა სცენარმა შეიძლება მარტივად გამოიწვიოს ნატო-რუსეთის ღია დაპირისპირება, რისი გარისკვაც ალბათ არც ერთ მხარეს არ სურს. იგივე ეხება ლაჩინის დერეფანს, რომელიც რჩება რუსული ჯარების ერთადერთი მომარაგების გზად. თუმცა, რუსული კონტინგენტი, სავარაუდოდ, უახლოეს წლებში იმუშავებს ამ გადამწყვეტი გზის განახლებასა და განმტკიცებაზე, ამრიგად დერეფანზე შეტევა იქნება მის დამცველ რუსულ ძალებზე თავდასხმა.[32]

2020 წლის 9 ნოემბრის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება მთიანი ყარაბაღის მეორე ომის შეიარაღებული ეტაპის ხანგრძლივ დასრულებას ითვალისწინებს. სომხეთის გამანადგურებელი სამხედრო დამარცხება, აზერბაიჯანისთვის

[32] András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement“, 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება და ასევე მასობრივი, კარგად შეიარაღებული რუსული კონტინგენტის განთავსება მთიანი ყარაბაღის ტერიტორიებზე, რომლებიც ჯერ კიდევ სომხეთის კონტროლს ექვემდებარება, დიდი ალბათობით უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და სტაბილური სიტუაცია შენარჩუნდება მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ მცირემასშტაბიანი ტაქტიკური ინციდენტები მაინც შეიძლება მოხდეს, ისინი მარტივად ვერ შეძლებენ სტრატეგიული სიტუაციის დესტაბილიზაციას სეპარატისტულ რეგიონში და მის გარშემო. სავარაუდოდ, ეს წყობა მდგრადი დარჩება რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის პირველი ვადის ამოწურვამდე. ამის შემდეგ, ბევრად ნაკლებად პროგნოზირებადია როგორ განვითარდება მოვლენები, განსაკუთრებით პოლიტიკური მოგვარების პერსპექტივის სრული არარსებობის გამო. თუ ბაქო არ წავა დათმობებზე მთიანი ყარაბაღის ამჟამად სომხეთის მიერ კონტროლირებადი ნაწილების სამომავლო პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით, ადგილობრივი სომეხი მოსახლეობა ტერიტორიების აზერბაიჯანისთვის დაბრუნების კატეგორიულად წინააღმდეგი იქნება.

რა თქმა უნდა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მხოლოდ სომხებმა გაუძლონ აზერბაიჯანის კიდევ ერთ მცდელობას, დაიბრუნოს კვლავ სომხების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები, როდესაც (და თუ) რუსი სამშვიდობოები დატოვებენ ტერიტორიას. აქედან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ქმნის გრძელვადიან პერსპექტივას რეგიონში, იქნება რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა. თუ ბაქო არ შეეწინააღმდეგება რუსული ძალების გახანგრძლივებულ ყოფნას და არც მოსკოვი გადაწყვეტს თავისი ძალების გაყვანას, მაშინ მთიანი ყარაბაღის ფაქტობრივი დამოუკიდებლობა აზერბაიჯანისგან დამატებით 5 წლით გაგრძელდება. თუმცა, თუ ბაქო გააპროტესტებს გაგრძელებას, მაგრამ რუსეთი გადაწყვეტს თავისი ძალების

შენარჩუნებას აზერბაიჯანის მიწაზე, აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა რთულად მოახერხებს რუსული ჯარის განდევნას.[33]

სამართლებრივი ინსტრუმენტები, სავარაუდოდ, ეფექტური არ იქნება და არც სამხედრო საშუალებები მოიტანს სარგებელს, მიუხედავად თურქეთის მხრიდან მხარდაჭერისა. აქედან გამომდინარე, მოსკოვი აშკარად გამარჯვებულია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შედეგად შექმნილი ვითარებით, რადგან მისი რეგიონალური პოზიცია ახლა ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე იყო ომამდე. რუსეთის მიერ სამშვიდობო კონტინგენტის განლაგების შესახებ ციფრული და შეიარაღებასთან დაკავშირებული შეზღუდვების აშკარა უგულებელყოფა, აგრეთვე მნიშვნელოვანი ავტონომია, რომლითაც რუსული ძალები მოქმედებენ მთიანი ყარაბაღის ფარგლებში, უკვე მიანიშნებს, რომ მოსკოვი დარწმუნებულია ბაქოს ხელმძღვანელობასთან შედარებით უპირატესობაში. ზოგადად, 2021 წლის მარტის მდგომარეობით, როგორც ჩანს, არსებული ვითარება უზრუნველყოფს სტრატეგიულ სტაბილურობას 2025 წლის ნოემბრამდე. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში იგი რუსეთს აძლევს აზერბაიჯანში სამხედრო ყოფნის დე ფაქტო პერმანენტულობის თეორიულ შესაძლებლობას, ისევ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების პროცესის „გაყინვით“, თუმცა ამჯერად სხვადასხვა პარამეტრების ფარგლებში.

2.3. ახალი გეოსტრატეგიული ძალთა ბალანსის ფაქტორი ყარაბაღის ომის შემდეგ

ყარაბაღის ომის შედეგად სამხრეთ კავკასიის რეგიონში მივიღეთ ახალი გეოსტრატეგიული ძალთა ბალანსი სადაც, უკვე რუსეთთან და თურქეთთან ერთად მნიშვნელოვან მოთამაშეთ და ანგარიშგასაწევ ძლად უკვე გვევლინება

[33] András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement“, 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

აზერბაიჯანი. რომელსაც მხარს უჭერს თურქეთი და პოლიტიკურ თუ სამხედრო დახმარებას უწევს.

2021 წლის 15 ივნისს ქალაქ შუშაში შეხვდენენ ერთმანეთს თურქეთის და აზერბაიჯანის ლიდერები, რომლებმაც გააფორმეს მოკავშირეობის შესახებ დეკლარაცია. სადაც აღნიშნული, რომ თურქეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს დახმარებას გაუწევენ თუ მესამე სახელმწიფოს მხრიდან მოხდება თავდასხმა. ასევე რეზოლუციით აღინიშნა, რომ თურქეთს და აზერბაიჯანს შორის გაიმართება რეგულარული უშიშროების საბჭოს ერთობლივი სხდომები, სადაც განხილული იქნება ეროვნული უსაფრთხოების საკითხები.

„აზერბაიჯანი უაღრესად აფასებს თურქეთის მხარდაჭერას სომხეთის 30-წლიანი აგრესიის შეწყვეტისა და ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლების საკითხში“, - ნათქვამია დოკუმენტში.[34]

შეხვედრის ფარგლებში თურქეთმა და აზერბაიჯანმა მოახდინეს ორმხრივი ურთიერთობების შესწავლა და ასევე ისაუბრეს შემდგომი ურთიერთობების გაფართოების და მათ შორის გაღრმავების პერსპეტივების შესახებ. ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დეკლარაციის ფარგლებში ხაზი გაესვა თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ნახჭევანი-ყარსის სარკინიგზო ხაზის და ზანგეზურის დერეფნისა გახსნას უახლოეს მომავალში, რომელიც ორ სტრატეგიულ სახელმწიფოს შორის ისედაც კარგი ურთიერთიბების განვითარებას ხელს შეუწყოს და განავითარებს პარტნიორულ თანამშრომლობას. აღნიშნული დეკლარაციით კიდევ ერთხელ დასტურდება ღრმა და სტრატეგიული პარტნიორული კავშირები თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის, რაც დამატებით სიგნალია, როგორც საქართველოსთვის და რუსეთისთვის, ასევე დანარჩენი გეოპოლიტიკური მოთამაშეებისთვის რომელთაც სამხრეთ კავკასიი რეგიონში გარკვეული ინტერესები გააჩნიათ.

---

[34] ,,მესამე სახელმწიფოს მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, თურქეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს დახმარებას გაუწევენ“, 15 ივნისი 2021. გვ.1. https://imedinews.ge/ge/msoflio/206343/mesame-sakhelmtsipos-mkhridan-tavdaskhmis-shemtkhvevashi-turqeti-da-azerbaijani-ertmanets-dakhmarebas-gautseven (ბოლო ნახვა - 15.06.2021)

დამატებით საინტერესო საკითხს წარმოადგენს 15 ივნიის შეხვედრის ფარგლებში ,,თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ბაზის შექმნა არ გამორიცხა“[35], აღნიშნული საკითხი საკმაოდ შეცვლის ახალი გეოსტრატეგიული ძალთა ბალანსის რეგიონში. თურქეთის ესოდენ გააქტიურება და ამბიციები დიდი საფრთხის შემცვლელია თუ ჩვენ გავითვალისწინეთ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის არაერთ განცხადებას პან-თურქიზმის და ოსმალური იმპერიის საზღვრების აღდგენის შესახებ ამბიციებს, ეს დიდი რისკების წინაშე აყენებს როგორც სომხეთს, ასევე საქართველოსაც რომელთა ტერიტორიებზეც თურქეთ ფარულად გააჩნია პრეტენზიები.

ახალ გეოსტრატეგიულ ძალთა ბალანსის გადანაწილებას თუ დავუკვირდებით ვნახავთ, რომ რუსეთმა გარკვეულწილად თავისი პოზიციები გაიმყარა თუმცა, ასევე გარკვეული დათმობების ფასად. რაც შეეხება აზერბაიჯან თურქეთის პოლიტიკას შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ საკმაოდ კარგად წარმოჩინდა აზერბაიჯანის ახალი რეგიონული ძალის ფაქტორი რომელმაც თავისი პოზიციები გაიმყარა და გახრა რეგიონული ლიდერი. თურქეთი რომელიც აზერბაიჯანს განიხილავს როგორც სტრატეგიულ მოკავშირეად და მის მონათესავე ერად მას უპირობო მხარდაჭერას უცხადებს და ახალი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით ამყარებს ამ პოზიციას.

შეიძლება ითქვას, რომ სომხეთს გადაჭარბებული მოლოდინები ქონდა რუსეთის ჩართულობასთან და მის სასარგებლოდ ეფექტურობასთან დაკავშირებით. რად მათ მიაჩნდათ, რომ რუსეთი დროის მოკლე პერიოდში შეძლებდა მშვიდობის დამყარებას. მათ შორის გადაჭარბებული წარმოადგენა ქონდა იმასთან დაკავშირებით რომ, თითქოსდა სომხეთი და ყარაბაღი ტერიტორიებს არ დაკარგავდნენ და სიტუაცია კვლავ დაკონსერვდებოდა.

[35] ერდოღანმა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ბაზის შექმნა არ გამორიცხა, 17 ივნისი 2021. გვ.1. https://imedinews.ge/ge/msoflio/206570/erdoganma-azerbaijanis-teritoriaze-turqetis-sheiaragebuli-dzalebis-samkhedro-bazis-sheqmna-ar-gamoritskha (ბოლო ნახვა - 18.06.2021)

ამან კი ცალკე სომხურ პროდასავლურ პარტიებს მისცა საბაბი, რომ ღიად ალაპარაკებულიყვნენ სომხეთის გეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე. მათ შორის იყო საუბარი იმაზე, რომ ეს რუსეთმა სპეციალურად განახორციელა რადგან პაშინიანის მმართველობა დაესუსტებინა და არჩევნებში მას მოსახლეობის მხარდაჭერა არ ქონდეს. ხოლო რაც შეეხება სოხეთის პრორუსულ ძლებს ისინი უფრო მეტ ინტეგრაციეზე ალაპარაკდნენ რუსეთთან რადგან მომავალში კვლავ მსგავსი ინციდენტებისგან თავი დაიცვან. რაც შეეხება რუსეთისადმი ნდობის საკითხს სომხეთის მოსახლეობაში მკვეთრად დაეცა, თუმცა საპირისპიროდ აშშ-ის და საფრნგეთის მხარდამჭერთა რიცხვი გაიზარდა, მას შემდეგ რაც საფრანგეთმა სომხეთის მიმართ საჯარო მხარდაჭერა გამოაცხადა.

ამ მოვლენების გათვალისწინებით მნიშვნელოვანიანი ფაშიანინის 27 მაისის წინადადება რომელიც გულისხმობდა ,,საზღვრის გასწვრივ რუსეთის, აშშ-ის ან საფრანგეთის წარმომადგენლები განთავსებულიყვნენ, რაც რეგიონში NATO-ს ჯარს კარს გაუხსნიდა. 1-2 ივნისს ფაშინიანი პარიზსა და ბრიუსელში ჩავიდა, სადაც ევროპელებმა, სავარაუდოდ, თავად მიიწვიეს სომხეთ-აზერბაიჯანის დე ფაქტო საზღვარზე საფრანგეთის ან აშშ-ის ჯარების პოტენციურ განთავსებაზე სასაუბროდ“[36].

დამატებით მსოფლიოში შეინიშნება გარკვეული ძალთა ბალანსის გადანაწილება ასევე, აშშ-ის მიერ აღლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყნიდან ამერიკული სამხედრო შიარაღების და შეიარახებული ნაწილები უკვე მიმდინარეობს. კერძოდ ,,ტელეკომპანიის წყაროების განცხადებით, აშშ საზენიტო–სარაკეტო კომპლექს Patriot-ის 8 ბატარეას ერაყიდან, ქუვეითიდან, იორდანიიდან და საუდის არაბეთიდან გაიყვანს. გარდა ამისა, საუდის არაბეთს დატოვებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ამერიკული სისტემა THAAD-ი.

[36] ჰრანტ მიკაელიანი, ,,ფეთქებადი სიტუაცია სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე და თბილისის როლი ტყვეების დაბრუნებაში“, 16.06.2021. გვ.1. https://netgazeti.ge/news/548448/ (ბოლო ნახვა - 18.06.2021)

რეგიონს ტოვებს სამხედრო თვითმფრინავების ნაწილი და „ასობით ამერიკელი სამხედრო“.[37]

იგეგმა აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება ახლო აღმოსავლეთში, რაც ავტომატურად რეგიონში საკმაოდ სერიოზულ ცვლილებებს გამოიწვევს სამხედრო წარმომადგენლობის თვალთსაზრისით. ცვლილებების შემდგომ არსებული ვაკუუმის შესავსებად ალბათ რუსეთი საკმაოდ იაქტიურებს და შესაძლოა გაზარდოს თავის სამხედრო წარმომადგენლობა აღლო აღმოსავლეთში. თუმცა ამ საკითხში არც თურქეთის და ჩინეთის ფაქტორიც არ უნდა დაგვავიწყდეს რომელთაც მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია და თავიანი გავლენის ვექტორების გაზრდის მიმართულებითაც შეუძლიათ კონკრეტული ქმედებების განხორციელება, რაც უკვე ისედაც გამოკვეთილია ამ ორი სახელმწიფოს მაგალითზე. რაც შეეხება აშშ-ის ის ამ ნაბიჯით აპირებს მეტი ყურადღება და ძალისხმევა დაუთმოს რუსეთის და ჩინეთის მხრიდან მომდინარე გამოწვევებს.

აქვე მშნივნელოვანია 11-12 ივნისს დიდი ბრიტანეტში გამართული G-7 სამიტში მიღებული კონკრეტული დეკლარაცია სადაც სხვადასხვა საფრთხეებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილუ უკავია ჩინეთის მზარდე ეკონომიკურ ექსპანსიას, რომლის შესაჩერებლადაც დიდი ჩვიდეულის ქვეყნები ერთიანდებიან და დახმარებას აღმოუჩენენ ეროვნულ ეკონომიკებს ადგილობრივი სამრეწველო პოტენციალის განვითარებაში. რითან უნდა მოხდეს ჩინეთის ესოდენ მზარდი გეოეკონომიკური პოლიტიკის შერბილება.

ასევე მნიშვნელოვანია 14 ივნისს გამართული ნატოს სამიტის ფარგლებში მიღებული დეკლარაცია. როლის მიხედვითაც ალიანსის ლიდერებმა დეკლარაციაში განაცხადეს, ,,რომ ჩინეთის გაცხადებული ამბიციები და აგრესიული ქცევა სისტემურ გამოწვევას წარმოადგენს წესებზე

[37] აშშ-მა ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყნიდან სამხედროებისა და შეიარაღების ნაწილის გამოყვანა დაიწყო, 19 ივნისი 2021. გვ.1. https://imedinews.ge/ge/msoflio/206797/ashshma-akhlo-agmosavletis-ramdenime-qveknidan-samkhedroebisa-da-sheiaragebis-natsilis-gamokvana-daitsko (ბოლო ნახვა - 19.06.2021)

დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგისთვის.“[38] რასაც ავტომატურად მოყვა ჩინეთის რეაქციაც, რომელმაც განაცხადა, რომ ის მშვიდობიან განვითარებას ეწევა მათ შორის მათი განცხადებით არასწორად იქნა შეფასებული საერთაშორისო ვითარებაც. ასევე ხაზი გაუსვეს იმას, რომ ეს მიდგომა მიანიშნებს ,,ცივი ომის“ მენტალიტეტზე.

რაც შეეხება საქართველოს როლს და ჩართულობას ყარაბაღის კონფლიქტში მან დაკარგა თავისი უპირატესობა ყოფილიყო მედიატორი და მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა მოლაპარაკებების საშუალებით კონფლიქტის დარეგულირების კუთხით. თუმცა საქართველო მაინც თამაშობს გარკვეულ როლს პოსტკონქლიქტურ სიტუაციაში. ოფიციალური თბილისის დახმარებით და ჩართულობით აზერბაიჯანმა 15 სომეხი სამხედრო ტყვე საქართველოს გავლით სომხეთში გაუშვა. პოლაპარაკებებში საქართველოსთან ერთან აშშ-ბი და ევროკავშირიც მონაწილეობდა. სანაცვლოდ სომხეთმა აზერბაიჯანს გადასცა დანაღმული ტერიტორიების რუკა ნაღმების ადგილმდებარეობის მითითებით.

მთიანი ყარაბაღის სამხედრო კონფლისტის მიდინარეობისას გამოიკვეთა უპილოტო თვითმფრინავების და დრონების როლი საომარ ოპერაციებში. მაგრამ, ,,მიუხედავად ყარაბაღის ომში სხვადასხვა ტიპის დრონების აქტიური გამოყენებისა, ჩვეული შეიარაღება თავის აქტუალობას მაინც არ კარგავს: „მთიან ყარაბაღში მიმდინარე მოვლენები მეოთხე თაობის ომის კონცეფციის თანახმად ვითარდება, ანუ შეიმჩნევა მაღალი მობილურობა და მანევრირება, ასევე ტექნოლოგიების გამოყენებაც დრონებისა და ზეზუსტი იარაღის სახით.“ [39] შესაბამისადაც ჩანს დრონების როლი საომარ მოქმედებებში თუ რამდენად მზარდი ხდება თუმცა ტრადიციული სამხედრო ტექნოლოგიები ამავე დროს არ კარგავენ აქტუალობას.

---

[38] ჩინეთი ნატოს მოუწოდებს, შეწყვიტოს ჩინეთის საფრთხის თეორიის გაზვიადება, 15 ივნისი 2021. გვ.1. https://imedinews.ge/ge/msoflio/206210/chineti-natos-moutsodebs-shetskvitos-chinetis-saprtkhis-teoriis-gazviadeba (ბოლო ნახვა - 19.06.2021)

[39] შოშიაშვილი ტ., ,,დრონების ომი - შეცვალა თუ არა ყარაბაღის ომმა ჩვენი წარმოდგენა ზოგადად ომზე“, 25.10.2020. გვ.1. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=108462 (ბოლო ნახვა - 19.06.2021)

დასკვნა

სამხრეთ კავკასიის რეგიონი ისტორულად წარმოადგენს მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ სივრცეს, ასევე გეოეკონიმიკურ არეალს სადაც სხვადასხვა მსხვილი ეკონომიკური პროექტები ფუნქციონირებს და ახალი მსხვილის პროექტების განხორციელება მიმდინარეობს, მათ შორის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძის როლიც გააჩნია.

ყარაბაღის მეორე ომმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სამხრეთ კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების სისტემაზე, კონფლიქტმა მთელს რეგიონში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია შეიცვალა არსებული ძალთა ბალანსი. კვლევის შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ არსებულმა რეგიონულმა ცვლილებებმა გამოიწვია როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგები. გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დაზუსტებული და გარკვეული სხვადასხვა ასპექტები ომის შედეგების და მიმდინარე პროცესებისა.

მთიანი ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტის შედეგად ღიად გამოიკვეთა ახალი რეგიონალური ლიდერი აზერბაიჯანის სახით. რომელსაც სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების კუთხით გააჩნია მნიშვნელოვანი შესაძლებლობები. რომელსაც თურქეთი ღიად უჭერს მხარს და მათი სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერების მიმართულებით ორივე მხარე ანვითარებენ სხვადასხვა პროექტებს და დებენ ურთიერთ თანამშრომლობის ხელშეკრულებებს. აღნიშნული ფაქტი ხას უსვამს რეგიონში მათ შეთანხმებულ პოლიტიკის გატარებაზე, საიდანაც ჩანს ყველა რეგიონალური მოთამაშისთვის, რომ მათი ინტერესები ერთიანია და მზად არიან სამხედრო დაპირსპირებისას თუ რომელიმე იქნება ომის პირობებში ერთმანეთს ღიად დაეხმარონ. ომის შედეგან სომხეთმა დაკარგა ის ისტორიული უპირატესობა რომელიც მას გააჩნდა პირველი ყარაბაღის ომის შედეგად გამარჯვებულის ფატორის სახით.

საკვლევი კითხვის პასუხად თუ როგორ განვითარდა რუსეთ-თურქეთის ინტერესების თანხვედრა და თანამშრომლობის მექანიზმების ჩამოყალიბება ომის შემდეგ უნდა ითქვას, რომ გარკვეულწილად თუ კარგად დავაკვირდებით მოვლენების განვითარებას და მასში ამ ორი სახელმწიფოს როლს მარტივად შევძლებთ დასკვნების გამოტანას. რუსეთის და თურქეთის ინტერესების თანხვედრა უნდა ვთქვათ, რომ მანამ სანამ დაიწყებოდა სამხედრო კონფლიქტი წესით უკვე მანამდე ქონდათ გარკვეული კონფლიქტის ბედიც. იმ სამხედრო მოქმედებებიდან და რუსეთის ჩართულობიდან რომელიც საკმაოდ პასიური იყო კონფლიქტში ხისტი განცხადებებით და უშალოდ სომხეთის მხარდამჭერი განცხადებებით რომელიც აზერბაიჯანის მაგალითზე პირიქით იყო და თურქეთი მას საკმაოდ აქეზებდა. რუსეთმა ტაქტიკური სვლა გადაწყვიტა და საბოლოოდ მისთვის საკმაოდ მომგებიანი პოზიცია აირჩია თუმცა ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ ახალი ძალთა ბალანსის გადანაწილებით რუსეთიც ბოლომდე მოგებული არ გამოსულა. რადგან თურქეთმა თავისი პოზიციები საკმაოდ გაიმყარა სამხრეთ კავკასიის რეგიონში და ამ მიმართულებით სულ უფრო მეტი ღონისძიბების განხორციელება რაზეც მეტყველებს აზერბაიჯანში სომხური ბაზის მშენებლობის საკითხიც და მათ შორის გეოეკონომიკური პროექტები.

გეოეკონომიკური ტრანსფორმაციის და გეოპოლიტიკური კუთხით რუსეთ-თურქეთის თანამშრომლობა შეიძება ითქვას, რომ შედგა რადგან მათ მიერ უკვე დაწყებული მოლაპარაკებები და უკვე გარკვეული ძვრები საბჭოთა კავშირის დროინდელი სარგინიგზო მარშრუტის აღდგენის საკითხი რომელზე მაღლა გვქონდა საუბარი უკვე აქტიურად აკავშირებს ამ მხარეებს და კატალიზატორის რომლს ითამაშებს, როგორც დაპირისპირებულ მხარეებს შორის ასევე მათი სტარატეგიული მოკავშირებისთვისაც, სადაც უკვე დამატებით ირანის საკითხიც ერთვება რომლისთვისაც ეს სარკინიგზო პროექტი საკმაოდ ისაღებია და უნდა ჩერთოს ამ იმართულებით ტვირთბრუნვის განხორციელებაში.

ეუთოს მინსკის ჯგუფმა გარკვეული როლი შეასრულა კონფლიქტის დარეგულირების პროცესში, რომელიც სამხედრო კონფლიქტის დასაწყისშივე მოუწოდებდა დაპირისპირებულ მხარეებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და

შემდგომში აქტიურად ჩერთო მოლაპარაკებების პროცესში. მინსკის ჯგუფის წარმომადგენლების განცხადებით მოლაპარაკების შემდგომ პროცესები შეიძლება მნიშვნელოვნადა დადებითი კუთხით განვითარდეს და მათ შორის კატალიზატორის როლის შეასრულებაზეც გაამახვილეს ყურადღება, როგორც ხელის შემწყობი ფაქტორი მთელს რეგიონში დიპლომატიური ურთიერთობების განვითარებას და მათ შორის ეკონომიკური პროექტების.

მეოთხე კითხვის პასუხად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის მიერ ყარაბაღის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის განთავსებამ მას დამატებით გავლენის ბერკეტი შესძინა და რეგიონულ კონტექსტში მისთვის მომგებიან პოზიციაზე აღმოჩნა გარკვეული სამხედრო ოპერაციების განხორციელების კუთხით. მათ შორის ამით ის საქართველოს რკალში აქცევს და შეუძლია მშნიშვნელოვანი სამფრთხე შეუქმნას მას. ასევე სამხედრო თვალთსაზრისთ ის ყარაბაღში მოვლენების განვითარების მიმართულებით საკუთარი გეგმების განხორციელებას ეფექტურად შეძლებს რადგან გავლენის ცენტრი მის ხელშია და შესამისად თუ თურქეთთან პოლიტიკური სიტუაციე დაეძაბება ის ამას კარგად გამოიყენებს. რუსეთი საკუთარი გავლენის ვექტორის გასაზრდელად იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს სამხედრო-პოლიტიკურიდან, ეკონომიკური ბერკეტების ჩათვლით.

რაც შეეხება საერთაშორისო მოთამაშეებს აშშ-ის და ევროკავშირის სახით მათი როლი გარკვეულწილად სამხეთ კავკასიის რეგიონში ახალი გეოპოლიტიკირუ გადანაცვლების შედეგად შესუსტდა. თუმცა რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ ისინი პანდემიის შემდგომ უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ ამ რეგიონს, მანამდე კი სამოქმედო გეგმას და სტრატეგიას შეიმუშავებენ.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი ფაქტების, კვლევის, ანალიზის და მსჯელობის საფუძველზე შგვიძლია ვთქვათ, რომ სამაგისტრო ნაშრომის ჰიპოთეზა მტკიცდება. რუსეთს თავისი ყველა კომპონენტის გათვალისწინებით სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური ფაქტორების საკმაოდ მნიშვნელოვანი

ბერკეტები გააჩნია თავისი სამხრეთ კავკასიის რეგიონზე გავლენის ვექტორის გასაზრდელად. რასაც ხელს უწყობს თანამედროვე პერიოდში განვითარებული გეოპოლიტიკური მოვლენები.

ბიბლიოგრაფია

1. ანთაძე გ., ,,სტრატეგიული კვლევები N2“ გამომცემლობა ,,საუნივესიტეტო წიგნი“, თბილისი- 2009 წელი.
2. ასათიანი ს., „სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“, ჰაინრიხ ბიონლის ფონდი. თბილისი 2014.
3. ალადაშვილი ბ., „სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე: ეკონომიკური ინტეგრაცია თუ ომი“, თბილისი 2010.
4. გვენეტაძე ე. , ,,საერთაშორისო უშიშროების ასპექტები”, გამომცემლობა ,,იურისტების სამყარო“, თბილისი 2017.
5. ისმაილოვი ე., პაპავა ვ., ,,ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები-გამომცემლობა”, „დიოგენე“, თბილისი 2007.
6. ლაზარაშვილი ე., „სამხრეთ კავკასიის პრობლემები და გამოწვევები“, თბილისი 2014.
7. ლეჟავა ნ., „სამხრეთი კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“, ,,ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი“, თბილისი 2014.
8. მაღრაძე გ., მაისაია ვ., ,,21-საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა, ,,უნივერსალი“, თბილისი, 2017.
9. მაისაია ვ., ,,შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები”. თბილისი 2003.
10. მაცაბერიძე მ., ,,კავკასიის კონფლიქტების შედარებითი ანალიზი“, თბილისი 2014.
11. პაპიაშვილი დ., ,,სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონულისტაბილურობის პრობლემები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2009.

12. რონდელი ა., „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, თბილისი 2009.
13. Alieva L., ,,EU and South Caucasus“, CAP Discussion Paper, Bertelsmann Group for Policy Research 2008.
14. AKGUL M., ,,THIRD PARTY INVOLVEMENT PROCESS TO THE NAGORNO-KARABAKH CONFLICT”, University of Illinois at Urbana-Champaign, 2017.
15. Bruce Hoffman ,,International Politics“, What is Terrorism? , Longman, New York, 2007 Year.
16. СИНОВИЦ Р., БАДАЛЯН С., ТАМРАЗЯН Г., ,,Армяно-азербайджанская граница: торговля через опасения и враждебность“, 9 февраля 2021.

ინტერნეტ რესურსები:

17. ანთაძე გ., ,,ყარაბაღის ომის გეოპოლიტიკური შუქ-ჩრდილები“, 7 ნოე. 2020. გვ.1. https://www.geocase.ge/ka/publications/294/yarabaghis-omis-geopolitikuri-shuq-chrdilebi (ბოლო ნაცვა -10.04.2021)
18. აშშ-მა ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყნიდან სამხედროებისა და შეიარაღების ნაწილის გამოყვანა დაიწყო, 19 ივნისი 2021. გვ.1. https://imedinews.ge/ge/msoflio/206797/ashshma-akhlo-agmosavletis-ramdenime-qveknidan-samkhedroebisa-da-sheiaragebis-natsilis-gamokvana-daitsko (ბოლო ნახვა - 19.06.2021)
19. ასიმეტრიული ომი, ქათული სამხედრო ანალიტიკური პორტალი. 6.04.2015. https://gmas.ge/2015/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91

%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97/ (ბოლო ნახვა - 19.05.2021)

20. ერდოღანმა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ბაზის შექმნა არ გამორიცხა, 17 ივნისი 2021. გვ.1. https://imedinews.ge/ge/msoflio/206570/erdoganma-azerbaijanis-teritoriaze-turqetis-sheiaragebuli-dzalebis-samkhedro-bazis-sheqmna-ar-gamoritskha (ბოლო ნახვა - 18.06.2021)
21. მენაღარიშვილი ზ., ,,რა გავლენას მოახდენს საქართველოზე რუსეთ-აზერბაიჯან-სომხეთის შეთანხმება", netgazeti, 14.01.2021. გვ1. https://netgazeti.ge/news/511785/ (ბოლო ნახვა - 14.06.2021)
22. ,,მესამე სახელმწიფოს მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, თურქეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს დახმარებას გაუწევენ", 15 ივნისი 2021. გვ.1. https://imedinews.ge/ge/msoflio/206343/mesame-sakhelmtsipos-mkhridan-tavdaskhmis-shemtkhvevashi-turqeti-da-azerbaijani-ertmanets-dakhmarebas-gautseven (ბოლო ნახვა - 15.06.2021)
23. სვიმონიშვილი გ., დრონების ომი კავკასიაში, 15.07.2020. გვ.1. https://iberiamagazine.com/dronebis-omi-kavkasiashi/ (ბოლო ნახვა - 22.05.2021)
24. სინოვიცი რ., ბადალიანი ს., ,,შიში და სიძულვილი ვაჭრობისა და კეთილდღეობის წინააღმდეგ სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე", თებერვალი 05, 2021. გვ1. https://www.radiotavisupleba.ge/a/31087978.html (ბოლო ნახვა - 12.06.2021)
25. სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი - უახლესი ამბები, ახალი ამბების სააგენტო Pia.ge, გვ.1. https://pia.ge/ka/news/konfliktebi/somkhet-azerbaijanis-konphlikti---uakhlesi-ambebi (ბოლო ნახვა - 15.06.2021)
26. შოშიაშვილი ტ., ,,დრონების ომი - შეცვალა თუ არა ყარაბაღის ომმა ჩვენი წარმოდგენა ზოგადად ომზე", 25.10.2020. გვ.1. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=108462 (ბოლო ნახვა - 19.06.2021)

27. ჩინეთი ნატოს მოუწოდებს, შეწყვიტოს ჩინეთის საფრთხის თეორიის გაზვიადება, 15 ივნისი 2021. გვ.1. https://imedinews.ge/ge/msoflio/206210/chineti-natos-moutsodebs-shetskvitos-chinetis-saprtkhis-teoriis-gazviadeba (ბოლო ნახვა - 19.06.2021)
28. ჰრანტ მიკაელიანი, ,,ფეთქებადი სიტუაცია სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე და თბილისის როლი ტყვეების დაბრუნებაში", 16.06.2021. გვ.1. https://netgazeti.ge/news/548448/ (ბოლო ნახვა - 18.06.2021)
29. András Rácz, ,,IN RUSSIA'S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement", 8 April 2021. P.1. https://www.iss.europa.eu/content/russias-hands (ბოლო ნახვა - 15.06.2021)
30. Daskalova A., ,,Problem or Solution? Russia's Role in the Nagorno-Karabakh Conflict", Oct 19 2015. P.1. https://www.e-ir.info/2015/10/19/problem-or-solution-russias-role-in-the-nagorno-karabakh-conflict/ (ბოლო ნახვა - 14.05.2021)
31. ,,Turkey's role in the Nagorno Karabakh war: a potential resource for peace", Caucasus Edition Journal of Conflict Transformation. P.1. 15 Jul 2013. https://caucasusedition.net/turkeys-role-in-the-nagorno-karabakh-war-a-potential-resource-for-peace/ (ბოლო ნახვა - 14.05.2021)
32. Zeidan A., ,,Nagorno-Karabakh " region, Azerbaijan, 2020. P.1. https://www.britannica.com/place/Nagorno-Karabakh (ბოლო ნახვა - 10.05.2021)